# საერთო გაზეთი

№5 (463) • 14 თებერვალი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ნარკომაფია და ახალი „მხედრიონი", ახალი „მღედრიონი", ახალი „საძმოები" – ახალი სტატუსით





## თვითმარქვია ჟურნალისტი მუხთარლი და მუხთალი ქართველები

## ქისტები და ჩვენ...





დოდო გუგეშაშვილსა და მის ვაჟზე განხორციელებულ თავდასხმაში ერთი კი არა რამდენიმე პირი მონაწილეობდა?

## თბილისი ნანგრევებქვეშ რომ დაიმარხება, მერე დავიწყებთ დამნაშავეების ძებნას?!

სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი სიხარბე და არაკომპეტენტურობა საქართველოს მოსახლეობას კატასტროფას უმზადებს





ძალიან კი ვფრთხილობ, მაგრამ, გული მიგრძნობს, ნარმანია მაინც მომიხელთებს სადმე და აუცილებლად გამიტეხავს თავს

## „საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ნარკომაფია და ახალი „მხედრიონი“, ახალი „მდედრიონი“ და ახალი „საძმოები“ – ახალი სტატუსით



ეს დრო რაღაცით ჰგავს გასული საუკუნის 90-იან წლებს, როცა ქვეყანა „მხედრიონის“ და ათასი ჯურის საძმოების სათარეშოდ იქცა.

იმ ავბედით წლებში, რომელიღაც უჩინარმა და უხილავმა ძალამ ავტომატები და ნარკოტიკები ჩამოურიგა ახალგაზრდების ერთ ნაწილს და უთხრა: თქვენია ეს ქვეყანა, მიდით და მართეთო. და ისინიც „მართავდნენ“. „მართავდნენ“, როგორც შეეძლოთ და როგორც იცოდნენ, ცოდნით კი ავტომატის სასხლეტისთვის თითის გამოკლვრის გარდა სხვა რა უნდა სცოდნოდათ?

იქით „მხედრიონი“ აზანზარებდა ქვეყანას, აქეთ სოკოებივით მომრავლებული „საძმოები“ აკაკანებდნენ ავტომატებს, სადღაც მათ სიახლოვეს ტრიალებდა უკიდურესად აგრესიული და ჰიპერაქტიური დედაკაცებით დაკომპლექტებული ე.წ. „მდედრიონი“.

ძალაუფლების სათავეები, ფაქტობრივად, მათ ხელში იყო, სახელმწიფო სტრუქტურები კი შორიდან მაყურებლის როლში აღმოჩნდნენ, რომლებსაც ხან „მხედრიონი“ დაუქნევდა თითს,



ხან „მდედრიონი“ დაჰკივლებდა და ხან „საძმოები“ დაუცაცხანებდნენ ავტომატის ჯერით.

იმ უხილავმა და უჩინარმა რეჟისორმა, რომელმაც მთელი ეს შავბნელი, ტლუ, სასტიკი და ჩლუნგი ძალები ამოყარა ქვესკნელიდან, შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ძალები, პირველ რიგში, ახლად დამოუკიდებლობამიღებულ ქართულ სახელმწიფოს დააზიანებდნენ და დაანგრევდნენ.

გათვლა ზუსტი აღმოჩნდა — იმდენად ტრაგიკულად დასრულდა ეს შეტევა ქართულ სახელმწიფოებრიობაზე, რომ დღემდე ვერ ვახერხებთ, ბოლომდე აღმოვფხვრათ მისი კატასტროფული შედეგები.

**გამოხდა ხანი და იგივე განმეორდა, რაც 90-იან წლებში მოხდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახალგაზრდებს ავტომატების ნაცვლად ახლა მიკროფონები ჩამოურიგეს, „მხედრიონის“, „მდედრიონის“, „საძმოების“ ნაცვლად არასამთავრობოები დაარქვეს და ისევ ქართულ სახელმწიფოს შეუსიეს დასაწიოკებლად.**

— რას ჰქვია, დასაწიოკებლად? ეს არასამთავრობოები ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ემსახურებიანო, — შემომედავებიან ვიღაც-ვიღაცები, მაგრამ იმის დასაბუთებას, თუ რა კავშირი შეიძლება იყოს ზემოთნახსენებ იმ სიკეთეებთან ის საქმიანობა, რასაც ეს არასამთავრობოები ეწევიან, ალბათ, ვერ მოახერხებენ.

დავიწყოთ თუნდაც ნარკოპოლიტიკის რედიკალური შეცვლის იდეის გარშემო გაერთიანებული არასამთავრობოების მოთხოვნებით, რომელთა ქვეტექსტიც აშკარად ანტისახელმწიფოებრივია და არცთუ შორეულ მომავალში ქართველ ერს სრული დემორალიზაციით და გენოფონდის განადგურებით ემუქრება.

სხვათა შორის, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია-დეკრიმინალიზაციის თემაზე საუბარი 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ძალზე აქტიურად დაიწყო და ამ თემას რამდენიმე პარტია ლობირებდა, რომლებისთვისაც, რომ გეკითხათ, საქართველოს ხსნისა და გადარჩენისთვის იკლავდნენ თავს.

მთელი თაობა შესვეს მაშინ ნემსზე, რომელთაგან ზოგი ნარკოტიკმა შეიწირა, ზოგი საძმოებს შორის ქუჩის ბრძოლებმა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ დღესაც სწორედ ნარკოტიკების თემამ წამოიწია წინა პლანზე.

ორგანიზაციები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის კამპანიას უდგანან სათავეში, ხშირ შემთხვევაში, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით არიან აღჭურვილნი, სტატუსით, რომელიც, ფაქტობრივად, ხელშეუხებლობის გარანტიას უტოლდება.

როგორც ვთქვით, ამ ახალი ყაიდის მხედრიონს, მდედრონს თუ საძმოებს, დღეს ავტომატი არ უჭირავთ ხელში, სამაგიეროდ, უჭირავთ ავტომატზე არანაკლებ მრისხანე იარაღი — მიკროფონი და, პირდაპირ ვიტყვი, ქვეყნის მოღალატე ტელეარხების პულტს მიერთებულნი, თავიანთი დანაშაულებრივი, თვალთმაქცური, ფარისევლური პროპაგანდით საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ნარკოტიკების მოხმარება საზოგადოებისთვის ყოვლად უვნებელი, უწყინარი თამაშია, ნარკოტიკების მოხმარებისთვის სამართლებრივი სანქციების დაწესება კი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და ა. შ.

**მსოფლიოში საქართველოს გარდა, არ მეგულება სხვა ქვეყანა, სადაც ნარკომანიისა და ნარკოტიკების რეკლამირება ღიად ხდებოდეს და ამაზე პასუხისმგებლობა არავის ეკისრებოდეს.**

ამასწინათ, ტელეკომპანია „იმედში“, ნიკოლოზ წულუკიძის კულინარიულ გადაცემაში ქოთანში ჩარგული კანაფით გამოცხადდა მარიხუანის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი ზურაბ ჯაფარიძე.

იმის ნაცვლად, რომ გადაცემის წამყვანს ნარკოაგიტატორისთვის თავზე დაემხო ეს ქოთანი თავის კანაფიანად და სტუდიიდან კინწისკვრით გაეგდო, ბატონმა ნიკოლოზმა დიდი სიყვარულით მიიღო სასურველი სტუმარი და გადაცემამაც სულ სიცილ-ხარხარში და ჭუკჭუკში ჩაიარა.

ეს ამბავი არ არის გამონაკლისი — „პლანაქეშობის“ ღია თუ შენიღბული პროპაგანდა-რეკლამირება ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ტელევიზიებში.

ასე, მაგალითად, რომელიმე მოხერხებული ჟურნალისტი, ვთქვათ და, რომელიმე პარლამენტარს, ისე, სასავათაშორისოდ, ჰკითხავს: „პლანი“ თუ მოგიწევიათ?

— პლანი ვის არ მოუწევია? კი, გამისინჯავს... — ისმის პასუხი.

ამ პასუხს დაფარული სარეკლამო მესიჯი ასე იშიფრება — ხომ ხედავთ, ეს კაცი პლანს ეწეოდა თურმე, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი, პარლამენტარი გამხდარიყო.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი, დიდი უმრავლესობა, შეიძლება იმის შიშით, რომ ვინმემ „გოიმად“ და ჩამორჩენილ პროვინციელად არ ჩათვალოს, თამამად და ხალისიანად აღიარებს, რომ პლანს ეწეოდა, ანუ თავის დროზე კაი ტიპი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში წარმატებას მიაღწია.

ეს თუ არ არის რეკლამა, აბა, სხვა რა ჯანდაბაა?

კი, მაგრამ, ამ ჩვენს პატივცემულ ხელისუფლებას, სხვა თუ არაფერი, ის მაინც ხომ შეუძლია, რომ მსგავსი მავნებლობა კანონით აკრძალოს?

ხომ ცხადზე ცხადია, ხომ ეჭვგარეშეა, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც ყველანაირი ნარკოტიკის მოხმარების სრულ



ლეგალიზაციას მოითხოვენ, ნარკომაფიის წისქვილზე ასხამენ წყალს, რადგან თუ მათი მოთხოვნები შესრულდება, ეს ავტომატურად გაზრდის ნარკომომხმარებელთა ისედაც კატასტროფულ რაოდენობას და იმ კოლოსალურ შემოსავლებსაც, რაც ნარკომაფიის ჯიბეებში ჩაედინება.

ვინმეს სჯერა საქართველოში, რომ ეს კარგად ორგანიზებული მიტინგები და აქციები, რომლებშიც, როგორც წესი, ადამიანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასა მონაწილეობს, ამ მიტინგების და აქციების საინფორმაციო უზრუნველყოფა ელექტრონული მედიის მხრიდან, ნარკომანიის ეს ღია თუ ფარული რეკლამირება, სრულიად უფასოდ, ენთუზიაზმის ხარჯზე ხდება და ყოველივე ამაში ძალზე სოლიდური თანხები არ იხარჯება?

**„კანონიერი ქურდების“, კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ისედაც მკაცრი კანონები კიდევ უფრო გამკაცრდა და ეს მისასალმებელია. მისასალმებელია ისიც, რომ „კანონიერი ქურდისთვის“ საქმის გასარჩევად მიმართვაც კი დასჯადია, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ რჩება ყოველგვარი რეაგირების გარეშე ნარკომაფიასთან თანამშრომლობა, ნარკომაფიისთვის მარკეტინგულ-ბროკერული სამსახურის გაწევა, ნარკომანიის აგიტაცია-პროპაგანდა და რეკლამირება?**

„კანონიერი ქურდობა“ და კანონიერ ქურდთან გახახუნებაც კი თუ დანაშაულია, ნარკომაფიოზთან და ნარკომაფიასთან დაძმობილება ქველმოქმედებაა?

საქართველოში 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა.

თითოეულმა მათგანმა თვეში, მინიმუმ, 5000 ლარი რომ მოიხმაროს, ეს თვეში მილიონი ლარია, წელიწადში 12 მილიონი ლარი.

ვინ იხდის ამ 12 მილიონს და რისთვის?

რატომ არავინ არ სვამს ამ მარტივ და უბრალო კითხვას და რატომ უსვამენ თავზე ხელს და რატომ უჩლექენ ენას ამ პარაზიტულ და მუქთახორა ორგანიზაციებს, რომლებიც, ლამის არის, მეორე, არაოფიციალურ ხელისუფლებად გვექცეს, რომელიც ოფიციალურ ხელისუფლებას ხშირად შანტაჟის და ულტიმატუმის ენით ელაპარაკება.

როგორც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ვწერდით: **„ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა ამ ორგანიზაციების**



**საქმიანობის ამსახველი სერიოზული კვლევა თუ ანალიზი, მაგრამ ასეთი რამ თუ არსებობს, ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უკან, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ პოლიტიკური თუ ბიზნესჯგუფების ან უფრო უარესი – დანაშაულებრივი სინდიკატების კარგად შეფუთული და შენიღბული ინტერესები დგას, რომლებიც არ შეიძლება თანხვედრაში მოდიოდეს ქართველი ხალხის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.**

მიუხედავად ამისა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ბერკეტების მოშველიებით, მაინც მოახერხეს, განზე გაეწიათ საზოგადოება, ხალხი და, როგორც ზემოთ ვთქვით, ხელისუფლებასთან მუდმივი დისკუსიის რეჟიმში, რომელსაც ზოგჯერ შანტაჟის და ფსიქოლოგიური ზეწოლის ელფერი დაჰკრავს, ხალხის, საზოგადოების სახელით ელაპარაკათ და ემოქმედათ.

შედეგად მივიღეთ ის, რომ სახელმწიფო სტრუქტურების



მხრიდან არაერთგზის გაჟღერებული განცხადება, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთობა, საზოგადოებას თვითნებურად და დემაგოგიურად ჩანაცვლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ურთიერთობის დონეზე დავიდა, საზოგადოება და ხალხი კი განზე დარჩა“.

განზე დარჩენილი ხალხი და ხალხსა და ხელისუფლებას შორის ხალხის სახელით ჩაკვეხებული არასამთავრობოები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ისინი და მხოლოდ ისინი არიან



საზოგადოების ინტერესების გამომხატველნი, ოთხივე მხრიდან უტევენ ქართულ სახელმწიფოს და თუ ძალიან არ ვიმარჯვეთ, იმასვე უზამენ ამ ქვეყანას, რაც თავის დროზე „მხედრიონმა“, „მდედრიონმა“ თუ „საძმოებმა“ უქნეს.

ესაა რეალობა და ამ რეალობას, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა გაუსწოროს თვალი, სანამ ამ თვალს გიგაურები, პატარაიები, მიქელაძეები, სალაძეები, ვერძეულები, წიქარიშვილები არ გამოთხრიან...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** რამდენი ხანია, რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში თანამშრომელთა ნარკოლოგიური შემოწმება არ მომხდარა?

რამდენი ხანია და ძალიან დიდი ხანია...

ყოველ შემთხვევაში, არც მე და არც სხვებს არაფერი გვსმენია ამის შესახებ და ვინმეს კონსპირაციულად თუ აფსმევინებენ ქილაში, არ ვიცი.

საინტერესოა, რატომ მიივიწყეს ეს ერთ დროს ფრიად მოდური ნარკოშემოწმებები?

იმიტომ ხომ არა, რომ შემოწმების გარეშეც შესანიშავად იციან, რატომ აყვინთავებს წარამარა ხალხის სამსახურში ჩამდგარ ჩინოვნიკთა ერთ ნაწილს.

რატომ გამახსენდა ამ ავადსახსენებელი ნარკოლოგიური შემოწმების საკითხი ამ წერილის წერისას?

რატომ გამახსენდა და იმიტომ, რომ მეც მხარს ვუჭერ მოთხოვნას, რომ ნარკოტიკის მოხმარებისთვის ადამიანი ციხეში არ უნდა ჩასვან, ოღონდ ერთი შესწორებით — ნარკოტიკის მომხმარებელი, მათ შორის, მარიხუანის მომხმარებელი, არ შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდეს, ისე, როგორც არ შეიძლება, ნარკომომხმარებელი მუშაობდეს ექიმად, მასწავლებლად ანუ ნებისმიერ ისეთ დარგში და სფეროში, სადაც საქმე ადამიანს, მის სიცოცხლეს, მის აღზრდა-განათლებას, მის უსაფრთხოებას ეხება.

კი, ბატონო, ვისაც უნდა, „იკაიფოს“, ვისაც უნდა, „დაბოლილმა“ და გაშტერებულმა იაროს, ოღონდ იმის პრეტენზია მაინც ნუ ექნება, რომელიმე სამინისტროში ან დეპარტამენტში „იმოღვაწეოს“ და ხელფასი და პრემია-დანამატები ხალხმა უხადოს.

იქნებ, ეს იყოს უფრო სწორი გზა, ვიდრე ციხე ან ფულადი ჯარიმა.

ერთიც და მეორეც ხომ სინამდვილეში ნარკომანს კი არა, მისი ოჯახის სრულიად უდანაშაულო წევრებს აწვებათ უმძიმეს ტვირთად.

ნარკოტიკებთან გაშინაურებას უმეტესობა სიყმაწვილისას სკოლის კედლებშივე იწყებს.

იქნებ, ამიტომაც სჯობდეს, მოზარდი დასაწყისშივე დავაყენოთ არჩევანის წინაშე და მკაფიოდ და გასაგებად ვუთხრათ — გინდა, წარმატებული ადამიანი იყო? მაშინ სამუდამოდ დაივიწყე გზა ნარკოტიკებისკენ, რადგან ეს არის თავიდანვე დამარცხებისთვის განწირული გზა.

ახალგაზრდულ წლებში უნდა ვუთხრათ ჩვენ ეს ადამიანებს, სანამ ადრეა, მანამდე უნდა ვუთხრათ, თორემ ჩამოყალიბებული ნარკომანი გინდ ციხეში ჩასვი, გინდ ათასები და ათიათასები გადაახდევინე, ნარკომანობას მაინც ვერ მოიშლის.

**ვ.ხ.**



# დოდო გუგეშაშვილსა და მის ვაჟზე განხორციელებულ თავდასხმაში ერთი კი არა რამდენიმე პირი მონაწილეობდა?

გასულ კვირას თადარიგის პოლკოვნიკს, 90-იანი წლების სამხედრო დაჯგუფების „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერის დოდო გუგეშაშვილის საცხოვრებელ სახლში დღემდე დაუდგენელმა პირმა ორი გასროლით გუგეშაშვილის ვაჟი ნოდარ გუგეშაშვილი მოკლა, ხოლო ქალბატონი გულის არეში მძიმედ დაჭრილი რეანიმაციულ გამყოფილებაში იმყოფება.

ამ სამწუხარო ინციდენტთან დაკავშირებით, როგორც მოსა-



ლოდნელი იყო, მრავალი ვერსია გავრცელდა. ზოგიერთი ამ საზარელ მკვლელობას დოდო გუგეშაშვილის „მხედრიონელურ“ წარსულს უკავშირებდა, ზოგიერთი, კონკრეტულად, სოფელ დარჩელში 27 სახლის გადაწვას, ზოგიერთი აფხაზების მკვლელობას და ა. შ. შეუძლებელია ომიდან გამოხვიდე და ხელები სისხლიანი არ გქონდეს, მაგრამ, თითქმის გამორიცხულია, დოდო გუგეშაშვილის ვაჟი ნოდარ გუგეშაშვილი დედის მიერ ოდესმე ჩადენილი ცოდვის გამო მოეკლათ ამდენი ხნის შემდეგ.

რა მოხდა გუგეშაშვილების სახლში 7 თებერვლის დილას?

თავდაპირველად ითქვა, რომ ეს შურისძიება, პიროვნული კონფლიქტი იყო. ნოდარ გუგეშაშვილმა და მისმა მეგობარმა 8–10 წლის წინ შეყვარებულის გამო ერთმანეთი სცემეს თბილისის ზღვაზე, მერე ის ბიჭი სხვა საქმეზე დაიჭირეს, „სროკი“ მოიხადა, ციხიდან გამოვიდა და ძველი წყენა გაუხსენა ნოდარ გუგეშაშვილსო. იყო მითქმა-მოთქმა, თითქოს იმ დილას უცნობი თავდამსმელი თავად დოდო გუგეშაშვილის მოსაკლავად მივიდა დილომში, გუგეშაშვილებთან.

ეს ვერსიები იმდენად არადამაჯერებელი და არამყარია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, სპეციალურად ხომ არ გავრცელდა მკვლელობის მთავარი და ძირითადი მოტივის გადასაფარავად.

როგორც ამბობენ, ნოდარ გუგეშაშვილი უწყინარი, პატიოსანი ახალგაზრდა იყო, ერთი ხანი ბავშვთა გასართობ ცენტრში უმუშავია ვიდეო და ფოტორეპორტიორად, მერე ვეტერანთა კომიტეტში იყო ფოტოგრაფადო. რაც შეეხება ქალბატონ დოდო გუგეშაშვილს, მას შემდეგ, რაც მან 5-წლიანი სასჯელი მოიხადა საქართველოს ციხეში და ეროვნული თანხმობის დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ გათავისუფლდა, პოლიტიკაში სცადა ბედი და „პატრიოტთა კავშირის“ სახელით პარლამენტში შეღწევა განიზრახა, თუმცა ეს მცდელობა ვერ განხორციელდა. პარტიას რეგისტრაციაზე უარი უთხრეს.

დოდო გუგეშაშვილი ადრე სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა რიგებში ითვლებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა უკრაინაში მოიკიდა ფეხი და ქართველ მებრძოლებს მოუწოდა უკრაინის დასაცავად დაძრულიყვნენ, დოდო გუგეშაშვილი დონბასში გაემგზავრა, შემდეგ აცხადებდა: ჩვენ უკრაინასთან სტრატეგიული პარტნიორობა გვაქვს, უკრაინას უჭირს და ჩვენ, ვისაც შეგვიძლია, ჯარისკაცებად უნდა დავდგეთ ამ ქვეყნის დასაცავადო. ინფორმაციული ცნობების თანახმად, გუგეშაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ჯარისკაცებს წვრთნიდა დონბასში და შესაბამისად, სააკაშვილიც უკრაინის გადამრჩენად მიაჩნდა...

როგორც წესი, ადამიანის ფერისცვალება ნაკლებდასაჯერებელია. ძლიერი ნებისყოფის არსებები, შესაძლოა, შეიცვალონ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და გარდამტესი მოვლენების შედეგად, მაგრამ სააკაშვილის ყაიდის ადამიანისგან ეს გამორიცხულია და მის ფერისცვალებას ძალიან გულუბრყვილოც კი ვერ დაიჯერებს. ის „იგივეა მარად და მარად“. რაც იყო საქართველოში, იგივეა უკრაინაშიც...

საგამოძიებო ორგანოები სანამ დამტკიცებულ ფაქტებს და ამ საშინელი ტრაგედიის მომწყობების ან მომწყობის ვინაობას დაასახელებენ, მანამ, ცხადია, ვერსიები კვლავ იქნება, ამიტომაც მოეთხოვება შესაბამის სამსახურებს, დროულად გამოიძიონ საქმე, შემთხვევამ მითოლოგიური ხასიათი რომ არ მიიღოს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დოდო გუგეშაშვილს კავშირები ჰქონდა პანკისთანაც. მალხაზ მაჩალიკაშვილი მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობართაგანი იყოო.

მაჩალიკაშვილის შემთხვევა, მოგეხსენებათ, არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო განცალკევებული პანკისში მომხდარი სხვა მოვლენებისგან. ლაფანყურის ოპერაცია და გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მომხდარი შემთხვევა პირდაპირ კავშირში შეიძლება იყოს მაჩალიკაშვილის საკითხთან. ამის შესახებ თუ დეტალურად არა, გარკვეულწილად, მაინც ექნებოდა ინფორმაცია დოდო გუგეშაშვილს, მით უფრო, რომ მაჩალიკაშვილების ოჯახს მეგობრობდა თურმე ქალბატონი დოდო.



დასაწყისშიც ვთქვი: ომი ბინძური რამეა, უსისხლო ხელებით იქიდან თავს ვერ დაიძვრენ-მეთქი და აქვე იმასაც ვიტყვი — ომში, მით უფრო, ძმათამკვლელ ომში უამრავი ნაძირალა ამოტივტივდება ხოლმე და რაც უნდა პატიოსანი იყო, თავისდაუნებურად გიხდება მათ გვერდით ბრძოლა და მათთან ურთიერთობა. ამასთანავე, „მხედრიონის“ იმიჯს თუ გავითვალისწინებთ, ამ სამხედრო გაერთიანებაში უამრავმა კრიმინალმა მოიყარა თავი. იმ ხალხმა, რომლებიც ჯაბა იოსელიანმა ციხიდან გამოაშვებინა და იარაღი მისცა ხელში. ამათგან ზოგიერთმა მერე ფრაკი ჩაიცვა, ჰალსტუხი გაიკეთა და ხელისუფლებაში გამოგვეცხადა, მაგრამ ეს სხვა თემაა უკვე...

გუგეშაშვილის მეზობლები, რომლებმაც მე-13 სართულიდან მე-11 სართულამდე ჩამოსული სისხლმდინარე, დაჭრილი, ფეხშიშველი, შვილმკვდარი დედა დოდო გუგეშაშვილი დაინახეს, ამბობენ, რომ მათ ასევე დაინახეს ახალგაზრდა,. საშუალო ტანის მამაკაცი, რომელსაც „კაპიშონი“ ჰქონდა თავზე ჩამოფარებული და კიბეებზე ჩამორბოდა. ხელში პარკი ეჭირა, რომელშიც ისეთი რაღაც ეწყო, მინასავით ჩხარაჩხური გასდიოდაო, ამბობენ.

სავარაუდოდ, მკვლელს იცნობდნენ გუგეშაშვილები. მათ გაუღეს კარი სტუმარს, რომელიც პარკით თუ მივიდა ოჯახში, კაცი რომ მოკლა, მერე, სავარაუდოდ, პარკი აღარ გაახსენდებოდა.

ნოდარ გუგეშაშვილს ტყვია კეფაში და თავში აქვს ნასროლი, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელმა შესანიშნავად იცოდა, როგორი გასროლით და სად დამიზნებით შეიძლება უეჭველად გარდაიცვალოს ადამიანი, პროფესიონალი მკვლელი კი იარაღს პარკში არ ინახავს...



სავარაუდოდ, პარკი ოჯახში იყო, აიღო, ან მისცეს და მკვლელმა ის წაიღო. პარკში ქაღალდები არ შარიშურობს, არც ტანსაცმელი, მინასავით ხმას, სავარაუდოდ, DVD დისკები გამოსცემს.

მოკლედ, მე ვერსიებს და ვარაუდებს განვიხილავ, რადგან, პრინციპში, თვითმხილველი ამ ამბავს არ ჰყავს, რადგან შემთხვევისთანავე კორპუსში შუქი გამორთულა და მალევე ისევ მოსულა.

განსაკუთრებით დამამძიმებელ ვითარებაში ჩადენილი ეს დანაშაული, განზრახ მკვლელობა ხომ არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი პირის მიერ ჩადენილი, როცა ერთი კლავს, მეორე კი დენს თიშავს, რომ მკვლელმა უჩინრად დატოვოს შემთხვევის ადგილი, ხოლო მესამე დიღმის ტყე-პარკში ელოდება მკვლელს მანქანით, რომ შემთხვევის ადგილს გაარიდოს?

დოდო გუგეშაშვილმა, რომელსაც მაშინვე გონება არ დაუკარგავს, 3 სართული ფეხით ჩამოიარა, დაინახა შვილის მკვლელი. ის საავადმყოფოში გონზე მყოფი მიიყვანეს. როგორც ამბობენ, მან თქვა, ვინ ესროლა მის ვაჟს. სად გაქრა ის ეჭვმიტანილი, რომელიც გუგეშაშვილმა დაასახელა? რატომ სდუმან ისინი, ვისაც გაუმხილა გუგეშაშვილმა მომხვდურის ვინაობა?

ყველაფერთან ერთად, სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ჩნდება კითხვები, რომლებსაც, შესაძლოა, დიდხანს ან საერთოდ არ გაეცეს პასუხი.

შესაძლოა, ეს საქმე უფრო ღრმა და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს უკავშირდებოდეს, რომელზეც ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, ხელი არ მიგვიწვდება.

როგორც ამბობენ, მკვლელი უკვე საზღვარგარეთ არის, ხოლო ნოდარ გუგეშაშვილის მკვლელობის გარემოებებზე დასკვნები ჯერ კიდევ არ არსებობს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# თვითმარქვია ჟურნალისტი აფგან მუხთარლი და მუხთალი ქართველები

**მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს - საქართველოს წინააღმდეგ
დიდი საინფორმაციო ომია გამოცხადებული.
თავის დამშვიდება იმით, რომ ჩვენთან მედია თავისუფალია
და ვისაც რა უნდა, ის თქვას, არა გვგონია, მართებული იყოს.
მედიის თავისუფლებასაც აქვს თავისი საზღვარი, რომლის
გადალახვის შემდეგ ის შეიძლება თავისი ქვეყნის
დამანგრეველ, დესტრუქციულ ძალად იქცეს.
ქართული მედია დღეს ზუსტად ამ ეტაპზეა…
იმოქმედეთ, ბატონო პრემიერო, სანამ გვიან არ არის!**






**საინტერესოა, ეს „რუსთავი-2“ ტელეკომპანიაა თუ საერთაშორისო მასშტაბის საჯაშუშო–სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყანაში აქვს გაშლილი თავისი სადაზვერვო-საჯაშუშო ქსელი?**

აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა, აფგან მუხთარლიმ, რომელიც გასულ კვირას ციხიდან 2 დღით, ოჯახის დაღუპული წევრების ორმოცზე დასასწრებად გაათავისუფლეს, „რუსთავი 2“-თან თქვა, რომ საქართველოდან მისი გატაცების უფლება ქართველ ძალოვანებს კვირიკაშვილმა მისცა და ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმაც იცოდა.

მუხთარლის თქმით, მის გამტაცებლებს კრიმინალური პოლიციის ფორმა ეცვათ და ყველა მათგანი ქართველი იყო.

ჟურნალისტიო, კი ვთქვით მუხთარლიზე, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბატონი მუხთარლი ჟურნალისტი არ არის და არც არასოდეს ყოფილა, ხოლო პუბლიკაციები, რომლებსაც ის დროდადრო აქვეყნებდა, სულაც არ ეკუთვნის მის კალამს.

მუხთარლი ამტკიცებს, რომ ის კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა გაიტაცეს.

ისმის კითხვა: პირები, რომლებსაც მუხთარლის გატაცება წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი, ამ ოპერაციის განხორციელებისას რატომ ჩაიცვამდნენ მაინცდამაინც პოლიციის ფორმას და რატომ მისცემდნენ საბაბს გასატაცებლად გამზადებულ აფგანს, რომ ხელი პოლიციისთვის დაედო?

ამ ოპერაციის დამგეგმავები, თუ ის მართლაც დაიგეგმა, ნუთუ ისეთი წინდაუხედავები და სულელები იყვნენ, რომ კონსპირაციის ელემენტარული წესები არ იცოდნენ და მუხთარლის მოსატაცებლად ფორმებში გამოწკეპილ პოლიციელებს აგზავნიდნენ?

მუხთარლის მოკვლას და წყალში გადაგდებას ხომ არ უპირებდნენ – ქართველ პოლიციელებს ის თავიანთი აზერბაიჯანელი კოლეგებისთვის ცოცხალი და საღსალამათი უნდა გადაეცათ, ხოლო ეს ცოცხალი და საღსალამათი აფგანი ქართულმა კრიმინალურმა პოლიციამ დამიჭირაო, რომ იტყოდა, ხომ ცხადზე ცხადი იყო თავიდანვე?

რა გამოდის? – ქართული მხარე საკუთარ თავს უწყობდა პროვოკაციას და საკუთარი თავის წინააღმდეგ გამზადებულ სამხილს აჩეჩებდა ხელში პატივცემულ აფგანს?

კითხვა მეორე – როგორ მოხერხდა ის ამბავი, რომ საპატიმროდან ორი დღით გაშვებული აფგანი, რომელიც, ცხადია, ბადრაგის კონტროლქვეშ იმყოფებოდა, ოპერატიულად უკავშირდება „რუსთავი-2“–ს და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ინტერვიუს აძლევს მას.

ალბათ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ამ ინტერვიუს მომზადება და ორგანიზება საკმაოდ დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ეს სირთულეები წარმატებით გადაილახა და ინტერვიუ შედგა, რაც ეჭვს ბადებს, რომ, „რუსთავი-2“–ს რაღაც უჩინარი ძალები აქტიურად ეხმარებოდნენ აზერბაიჯანის მხრიდანაც.

საინტერესოა, ეს „რუსთავი-2“ ტელეკომპანიაა თუ საერთაშორისო მასშტაბის საჯაშუშო–სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყანაში აქვს გაშლილი თავისი სადაზვერვო–საჯაშუშო ქსელი.

მსგავსი ტიპის ინტერვიუები პირველი ხომ არ არის „რუსთავი-2“–ის პრაქტიკაში?

ისიც საკითხავია, რატომ ჰგავდა აფგან მუიხთარლის ინტერვიუს ტექსტი ასე ძალიან „რუსთავი-2“–ის ეთერში არაერთგზის გაჟღერებული განცხადებების ტექსტს?

აქედან, „რუსთავი-2“–დან, ხომ არ უკარნახეს მუხთარლის ეს დემაგოგიური და საქართველოსთვის მრავალმხრივ საზიანო ტექსტი?

სახუმარო ამბავი ნამდვილად არ არის, როცა აზერბაიჯანის მოქალაქე უმძიმეს დანაშაულში, ფაქტობრივად, ტერორისტული აქტის მომზადებაში დებს ბრალს მეზობელი ქვეყნის, საქართველოს, პრემიერ–მინისტრს, მის ძალოვან სტრუქტურებს და ამ ქვეყნის ერთ–ერთ გავლენიან პირს, ბიძინა ივანიშვილს.

არამარტო მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის თვალში უტეხს ეს ინტერვიუ საქართველოს სახელს, არამედ ის შეიძლება ორ მეზობელ და მეგობრულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაფუჭების საბაბიც გახდეს.

**ვინც ქართული სახელმწიფოსთვის მრავალმხრივ საზიანო და საზიფათო ამ ინტერვიუს გაუკეთა ორგანიზება, ის საქართველოს მტერია და თუ მტერია, რატომ არ ვთხოვთ პასუხს ისე, როგორც მტერს უნდა მოსთხოვო?**

დავიღალეთ იმის მტკიცებით, რომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდის გააფთრებული საინფორმაციო ომი, რომელშიც ქართული მედიასაშუალებების ერთი ნაწილი აქტიურად არის ჩართული და ძირს უთხრის საკუთარი ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას.

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს ძალიან სურთ აზერბაიჯანში „არაბული გაზაფხულის“ მსგავსი „აზერბაიჯანული გაზაფხული“ მოიყვანოს და თანაც ამის გაკეთებას აზერბაიჯანის მეზობელი სახელმწიფოს, საქართველოს, ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციების მეშვეობით აპირებს.

ამ ადამიანებმა თავიანთ სამშობლოში რაც უნდათ, ის აკეთონ, მაგრამ ჩვენი სამშობლოს პლაცდარმად გამოყენების უფლება, მათი ზრახვების და მიზნების განსახორციელებლად, არავის არ უნდა მიეცეს.

ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამასწინათ ისიც კი თქვა, მიმართოს საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, რომ აფგან მუხთარლი საქართველოს გადმოეცეს. ამით ჩვენ ქართული დემოკრატიის შელახულ რეპუტაციას აღვიდგენთ და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის თვალში კვლავ დავიბრუნებთ იმ სახელს, რომელიც აქამდე გვქონდაო.

აფგანის გადასარჩენად და ქართული დემოკრატიისთვის ნამუსის მოსაწმენდად ომიც ხომ არ გამოვუცხადოთ ამ ჩვენს მოძმე აზერბაიჯანს, ჰა?

ზემოთნახსენები იმ ქართველი პოლიტიკოსისა, დიდი ხანია, არაფერი გვიკვირს, მაგრამ გვიკვირს იმ ქართველების, რომლებიც აფგანს კი იცავენ, მაგრამ იცავენ საკუთარი სამშობლოს იმიჯის შელახვის ფასად და საკუთარ სახელმწიფოს ისეთ დანაშაულში სდებენ ბრალს, რომელიც გამოძიებით ჯერ არ დადგენილა, საერთოდ მოხდა თუ არა?

მივმართავთ საქართველოს პრემიერ–მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს – საქართველოს წინააღმდეგ დიდი საინფორმაციო ომია გამოცხადებული.

თავის დამშვიდება იმით, რომ ჩვენთან მედია თავისუფალია და ვისაც რა უნდა, ის თქვას, არა გვგონია, მართებული იყოს.

მედიის თავისუფლებასაც აქვს თავისი საზღვარი, რომლის გადალახვის შემდეგ ის შეიძლება თავისი ქვეყნის დამანგრეველ, დესტრუქციულ ძალად იქცეს.

ქართული მედია დღეს ზუსტად ამ ეტაპზეა…

იმოქმედეთ, ბატონო პრემიერო, სანამ გვიან არ არის!

**„საერთო გაზეთი“**






# მშვიდობით, მიშა! შენ პოლონეთიდანაც მალე ამოგკრავენ ქიტლაყს... შენ რომელი ქვეყანა აგიტანს, გაშიფრულ და გაბანძებულ რუსეთის აგენტს





„ჩემი ბებიის ბებიამ იოსებ სტალინი მეფის ჟანდარმებისაგან გადაარჩინა“, – დაიტრაბახა მიშამ. არადა, გასული საუკუნი 90-იან წლებში, პოლიტიკურ ასპარეზზე რომ გამოდიოდა, არც ბებიის ბებია უხსენებია ამ „დატვირთვით“, არც ბიძა თემურ ალასანია, კგბ-ყოფილი პოლკოვნიკი და არც ბაბუა, რომელიც საქართველოს ნკვდ-ში მუშაობდა ბერიას დროს.

მიხეილ სააკაშვილმა, „რუსთავი 2“-ის, გადაცემა „განსხვავებული აქცენტების“ ექსკლუზიურ „კიევურ“ინტერვიუში, „გამკაცრებულ“ ეკა კვესიტაძეს როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრა. გადაცემა მართლაც განსხვავებული გახლდათ, რადგან კვესიტაძეს ისეთი სახე ჰქონდა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გადაცემამდე მიჰას ტელევიზიის დაფინანსებას თხოვდა და მწარე უარი მიიღო, არც იმას გამოვრიცხავ, რომ დასავლელ ჟურნალისტს მიბაძა და არც ისაა გამორიცხული, რომ ცრუსთავმა ხალხის შეცდომაში შეყვანის მიზნით ტაქტიკა შეცვალა. ფაქტია, რომ ეკა შეწუხებული ჩანდა. მიჰა ჩვეულ ამპლუაში თავის მრევლის დაბოლებით იყო დაკავებული. ბაქიბუქობდა, რომ სამოციათასი კაცი გამოვიდა მის დასაცავად როცა „დააპატიმრეს“ კვესიტაძემ „შეახსენა“, რომ იგი ურეიტინგო პოლიტიკოსის სტატუსით გახლდათ უკრაინაში და მხოლოდ ერთი პროცენტი ჰქონდა მის პარტიას, ეკამ მას ამპარტავანი პოლიტიკოსიც კი უწოდა და შეახსენა კრიტიკა უკრაინული ოპოზიციის მხრიდან და ისიც, რომ უკრაინის ოპოზიციური პარტიები მას მხარს არ უჭერდნენ-მიჰამ ისევ უაზრო ტყუილებით უპასუხა. თან, ეტყობა კვესოს აზრები წაიკითხა რა გიჟი და იდიოტი ხარ მიშაო და მყისვე უპასუხა ჩერჩილს, ლოთს, გიჟს და ათას სისაძაგლეს უწოდებდნენ, მაგრამ დღეს ის ხალხი აღარავის ახსოვს, ჩერჩილი კი ახსოვთო. მიშას თქმით მისი ეშინია პოროშენკოს, უკრაინის პროკურატურას და უსაფრთხოების სამსახურს, ასევე, საქართველოშიც კანკალებენ მისი შიშით, რომ დაიჭირონ თურმე, უამრავი ხალხი გამოვა უკრაინაშიც და საქართველოშიც მის დასაცავად, კვესიტაძე, კი უსწორებდა ციფრებს და ფაქტებს, მაგრამ მიჰა თავის უაზრო ტყუილებს მაინც აჭენებდა. ძნელი სათქმელია, რომელი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ გახლდათ, მაგრამ ჩერჩილის მიმსგავსების შემდეგ აღმაშენებელი გაახსენდა: “მე, მიხეილ სააკაშვილმა, პირველად, ჩემ მეგობრებთან ერთად და ქართველ ხალხთან ერთად, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ალბათ, ამ მასშტაბით, დავით აღმაშენებლის შემდეგ პირველად შევქმენით ქართული სახელმწიფო – აი, ამაზე ვიღებ პასუხისმგებლობას. დავით აღმაშენებლის დროსაც ვიღაც მოკლეს, ვიღაც არასწორად დასაჯეს... კი, მერე? აღმაშენებელს აღმაშენებელი რამდენიმე საუკუნის მერე ეწოდა. მანამდე ის ისტორიიდან წაშალეს – ზედმეტად მკაცრი იყოო. მე არ ვედრები არც მასშტაბებით და არც სიმკაცრით, მითუმეტეს, მაგრამ არსებობს დიდი რაღაც და ეს დიდი რაღაც არ უნდა დაგვიბუროს წვრილმანმა ინტრიგებმა... მე არ ვიძახი, რომ ადამიანის სიკვდილი ინტრიგაა, მაგრამ რაც ამას მოყვა, პოლიტიკური მანიპულაციები – ეს უკვე ინტრიგაა.“

მიშას არ გახსენებია მოლაშვილი, შავაძე, რობაქიძე და სხვა უამრავი მისი ხროვის მიერ ჩახოცილი, ნაწამები ბიჭები და არც უამრავი სისაძაგლე რომელიც მისმა ხროვამ ჩაიდინა, რათქმაუნდა მისი მეთაურობით და დასტურით. სამაგიეროდ არ დაავიწყდა ვანო და ახალაია.

მიშა „ევროპულ საქართველოსაც“ გადასწვდა და ივანიშვილის ფულზე გაყიდული უწოდა, რასაც თამარ ჩერგოლეიშვილმა სოციალურ ქსელის საშუალებით უპასუხა – „გადაგვარებული პოლიტიკური იმპოტენტის, იგივე მიშა შააკაშვილის ინტერვიუს და ბრალდებებს რაც შეეხება – ეგ თოქსიკური და ბოროტი კლოუნი რაც მეტ ბრალდებას ისვრის ჩვენი მისამართით. უნდა ვუპასუხოთ, ვუპასუხოთ მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს, რომ მაგ მორალურად დეგრადირებულ არსებასთან აღარაფერი გვაკავშირებს გულისრევის გარდა“.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გიგა ბოკერიამაც გააკეთა,– „რაც გუშინ ვიხილეთ, იყო გადაგვარებული ლიდერის ურთიერთგამომრიცხავი აზრების ბოდვა“.

მიშა, „ძალიან დამძიმდა“, დავით აღმაშენებლის როლს ადრეც ირგებდა, მართალია „კაიფში“ სროლის ხმის გარეშეც ხოხავდა, მაგრამ მაინც. ეხლა ჩერჩილსაც გიჟს ეძახდნენო და „მიემსგავსა“, მაგრამ ჩერჩილის გარდა სიმონ ბოლივარიც გახდა. მერე რა, რომ ბოლივარზე ხალხი სიმღერებს თხზავდა, მიხოზე კი – წყევლა-კრულვებს და ლანძღვა გინებას, იმასაც „რაუჭირს“ასიათასობით ურჯულო, რომ ჩამოგვისახლა, გაგვიძარცვა, დაგვიქცია და გაგვიყიდა ქვეყანა სამაგიეროდ უკრაინიდან ასე „აფასებს“ ქართველ ხალხს – „ხალხი მაზოხისტია საქართველოში! მერე რა რომ გირგვლიანი, ვაზაგაშვილი მოკლეს, ეგ პატარ-პატარა, წვრილმანი თემებია და არ უნდა გადაფაროს სახელმწიფოებრიობის თემა! უამრავი ადამიანი ჩახოცეს, აწამეს, გაძარცვეს, გააუბედურეს და ეს თავისუფალი გიჟი პარკში გადარგულ ხეებს დატირის“ ქართველი ხალხი თავისი ხელით ამოთხრის ივანიშვილის გადარგულ ხეებს, როცა ამ ხელისუფლებას მოიშორებს! ბოლო-ბოლო მე ვარ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იბრძვის ქვეყნების და ერების თავისუფლებისთვის!“

წერილი დასრულებული მქონდა, რომ უბედურების ზარმა ჩამოჰკრა სანაცეთში. მიშა რესტორან „სულგუნში“დააკავეს დათო ხუჯაძის მიერ შესრულებულ „მახინჯი ვარ“სიმღერის ფონზე. შეშინებული, გაბანძებული, ჩასვრილი, თმებით გამოათრიეს სამზარეულოდან საიდანაც გაქცევას ცდილობდა. მისი „დაუმორჩილებელ-დაუმარცხებელი“დაცვაც იატაკზე ახოხიალეს და მიშა ლაინერით და არა პროპელერით ოპერატიულად გაამგზავრეს პოლონეთში.

2013-წელს ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტმა მედიას განუცხადა, რომ ის „არსად მიდის“ და „შემთხვევით“ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გაიხსენა, ფსიქოანალიზის თეორიის მიხედვით: „ვარდების რევოლუციის“ ბელადი სააკაშვილი იმ მომენტში ქვეცნობიერად ფიქრობდა „ოქტომბრის რევოლუციის“ ბელად ულიანოვ-ლენინზე და ეშინოდა, რომ საქართველოდან პოლონეთში გაქცევის შემდეგ მას იქ, როგორც ლენინს 1914 წელს, ციხეში ჩასვამენ. მერე კი ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადასცემენ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქუთაისის თავისუფალი ზონის წევრები კვირაზე მეტია პოლონეთში იმყოფებიან, ალბათ ახალ პოლონურ სპექტაკლში-ბუჩქის როლის შესასრულებლად. მშვიდობით მიშა, უკან მოხედვა მართლაც ძნელია შენთვის, და შენ, რომელი ქვეყანა აგიტანს, გაშიფრულ და გაბანძებულ რუსეთის აგენტს...



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# თბილისი ნანგრევებქვეშ რომ დაიმარხება, მერე დავიწყებთ დამნაშავეების ძებნას?!

## სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი სიხარბე და არაკომპეტენტურობა საქართველოს მოსახლეობას კატასტროფას უმზადებს

სეისმომედეგი მშენებლობის შესახებ კანონი კი მივიღეთ, მაგრამ მისი დაცვით თავს არავინ იწუხებს. რკინა-ბეტონის კარკასული შენობები 12-სართულიანზე მეტი არ უნდა იყოს, რადგან მიწისძვრის დროს ყველაზე მეტად ეს შენობები ინგრევაო, მაღალი სეისმური რისკის მქონე საქართველოში კი 30–40-სართულიან კორპუსებს ვაშენებთ. ცალკე საკითხია რამდენად ხარისხიანი მასალებით შენდება ეს „მონსტრები". „ვარდოსნების" ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, სომხური პერლტიანი ცემენტი გახდა „პრიორიტეტული", რაც მისი დაბალი ფასით იყო გამოწვეული. საშენი მასალების სპეციალისტები და მშენებლები კი ამბობდნენ, პერლიტიანი ცემენტის რკინა-ბეტონში გამოყენება არ შეიძლება, სომხეთში 1988 წელს მომხდარ მიწისძვრას იმიტომაც ჰქონდა დამანგრეველი შედეგი, რომ შენობების კარკასებში ასეთი ცემენტი იყო გამოყენებულიო, მაგრამ მოგებას დახარბებულზე ამ არგუმენტმაც ვერ გაჭრა. ნაცხელისუფლება კონტროლის გამკაცრებაზე არც იფიქრებდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რადგან სამშენებლო ბიზნესი მთლიანად „ნაცბობოლების" ხელში იყო და სავარაუდოდ, დღესაც ასეა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „მშენებელთა ლიგის" წარმომადგენლებს გავესაუბრეთ.

კონსტრუქტორ **ვაჟა დარჩიაშვილის** განცხადებით, იმ პერიოდში მასიურად შემოდიოდა სომხეთიდან პერლიტის დანამატიანი, ანუ გოგირდის მაღალი შემცველობის მქონე ცემენტი, რომლის რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში გამოყენება დაუშვებელია, რადგან არმატურის კოროზიას იწვევს. სხვა შემთხვევაში პრობლემა არ ყოფილა ამ ცემენტის გამოყენება, საკმაოდ კარგ ხსნარს იძლევა, უბრალოდ, ლითონთან არ უნდა ჰქონდეს შეხება. ჩვენს რესპონდენტს 2009-2011 წლებში ბევრი ახალაშენებული შენობა გამოუკვლევია, ზოგან მშენებლობა დამთავრებულიც არ იყო, მაგრამ უკვე იმ დონეზე იყო წასული კოროზიის პროცესი, რომ არმატურა განშრევებული იყო. ფაქტობრივად, ბეტონის ჩასხმის მომენტიდანვე იწყებოდა კოროზია. ამ ობიექტების დასახელებაც შემიძლია, უბრალოდ არაკორექტული იქნება ჩემი მხრიდან. ახალაშენებული შენობების პირველ სართულზე რომ შეხვიდოდი, ცემენტის სუნიც კი არ იგრძნობოდა, გოგირდის სუნით იყო იქაურობა გაჯერებულიო. შემოწმებულ შენობათა შორის, ერთი გასართობი ცენტრი ყოფილა, ორსართულიანი შენობა, თუმცა სართულების სიმცირე, დიდი შეღავათი ნამდვილად არ არის. ვაჟა დარჩიაშვილის აზრით, ყველა ახალაშენებული კორპუსის გამოკვლევა უნდა მოხდეს და წუნის შემთხვევაში შეძლებისდაგვარად გაძლიერდეს, რაც იოლი არ იქნება.

**ანზორ საკანდელიძე** („მშენებელთა ლიგის" თავმჯდომარე): საქმე იმაშია, რომ პერლიტს, როგორც აქტიურ დანამატს, ცემენტში ორჯერ ამატებდნენ, პირველად, კაზმის დამზადების დროს, რაც შემდეგ გამოიწვება და მიიღება კლინკერი. შემდეგ ეს კლინკერი იფქვება და მზადდება ცემენტი. ამ პროცესშიც რომ ამატებდნენ პერლიტს, იმიტომაც იყო ცემენტში გოგირდის ჭარბი რაოდენობა, თორემ სუფთა კლინკერულ ცემენტს (პორტლანდცემენტი) დამზადებისას აღარაფერი ემატება და კოოროზიული პროცესებიც უფრო ნაკლებია.

ვითარება ამ კუთხით მეტნაკლებად გამოსწორდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ უკანონო მშენებლობების მასშტაბი შემცირების მაგივრად, მატულობს. ჯერ ისიც ვერ გაგვირკვევია, რა უნდა ვუშველოთ დარღვევით აშენებულ მრავალსართულიან კარკასული ტიპის კორპუსებს, ამ დროს კვლავ გრძელდება ამგვარ კორპუსების მშენებლობებზე ნებართვების გაცემა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, დიღმის მასივის ტერიტორიაზე დაახლოებით 11 მილიონი კვ.მ. ფართის საცხოვრებელ კორპუსების აშენებაზე ყოფილა ნებართვები გაცემული, რაც სრული კატასტროფა იქნება. ვაკესა და საბურთალოზე ხომ საშინელება ხდება, მაგრამ თუ ეს მშენებლობები არ გავაჩერეთ, კორპუსების სიმჭიდროვით დიღომი ორივე უბანს გაასწრებს.

სეისმომედეგი მშენებლობის შესახებ კანონი კორპუსებზე მიშენება-დაშენების, რეკონსტრუქციის, გამაგრებითი სამუშაოების საკითხსაც არეგულირებს. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, კონკრეტული შენობა მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს დღევანდელ სეისმომედეგობის ნორმას – რვა ბალს. დავით ნარმანიამ თანამდებობიდან წასვლის წინ თავი მოიწონა, ჩემი მერობის პერიოდში 140 მილიონი ლარის გამაგრებითი სამუშაოები ჩავატარეთო. მერწმუნეთ, წყალში გადაყრილია ეს თანხები, რადგან არცერთ დასრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების დროს არ არის შემოწმებული და დაფიქსირებული, რომ გამაგრებული ობიექტი 8-ბალიან მიწისძვრას გაუძლებს. ძალიან მეეჭვება, ამ დონემდე გაემაგრებინათ, ეს შენობები ძირითადად, კომუნისტების მმართველობის პერიოდშია აშენებული, როცა სეისმომედეგობის ნორმა შვიდი ბალი იყო. ამ შენობებმა ბუნებრივია, ამორტიზაცია განიცადა, მით უმეტეს, რომ 50–60 წელი მათ არავითარი ზედმეტი შეკეთებები არ ჩატარებია. განსაკუთრებით პრივატიზაციის შემდეგ წავიდა ამორტიზაციის პროცესი უფრო აქტიურად. უზარმაზარი პრობლემაა წლობით მიტოვებული, დაუმთავრებელი მშენებლობები, რომელიც ათასობითაა დედაქალაქში, მათი კონსერვაციაც კი არ მოხდარა, შესაბამისად, სეისმომედეგობა, კოროზიამედეგობა, ხანგამძლეობა მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული, რადგან წლების განმავლობაში ათოვს და აწვიმს. არაფრით არ შეიძლება იქ მშენებლობის განახლება, ყველა დანგრევას უნდა დაექვემდებაროს, არადა ბევრგან დაწყებული და დამთავრებულიც არის მშენებლობა. საბურთალოზე, ასათიანისა და ზაქარიაძის ქუჩების კვეთაზე 15 თუ 17 წელი მიტოვებული იყო მშენებარე კორპუსი, სადღაც 2–3 სართული თუ იქნებოდა აშენებული, არმატურები მთლად დაჟანგული იყო. მშენებლობა რომ განაახლეს, ვკითხე, როგორ რისკავდნენ ამ გავერანებულ შენობაზე რაიმეს დაშენებას, ექსპერტიზის დასკვნა აღებული გვაქვს, რომ შესაძლებელიაო. მაინც დააშენეს რამდენიმე სართული, უკვე დაბზარულია მთელი შენობა, გასულ ზაფხულს მიმდგრები იყვნენ აქეთ-იქიდან და ამაგრებდნენ.

**გიორგი სადაღაშვილი** (მშენებელი): ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე ხუთი თუ ექვსი 32-სართულიანი რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის საცხოვრებელი კორპუსის აშენება უნდოდათ. მოსახლეობამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სამივე ინსტანციაში მოიგო პროცესი. მერიას დაევალა მშენებლობა შეეჩერებინათ, სანამ სამშენებლო დოკუმენტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ მოვიდოდა. ეს ერთეული შემთხვევა არ არის, სხვაგანაც გაუჩერებიათ უკანონო მშენებლობები, მაგრამ მერე ისევ გრძელდება, რადგან მერია თავისი ბრძანება-გადაწყვეტილებების დუბლირებას ახდენს, სასამართლო ერთს რო გააუქმებს, მერე სხვა გადაწყვეტილებას რთავენ საქმეში თანამიმდევრობით, ვითომ პროექტსაც ცვლიან და მაინც აგრძელებენ მშენებლობას. ამის მაგალითი ატენის ქუჩაზე 27-სართულიანი კორპუსი. იქ მცხოვრებლებმაც მოიგეს სასამართლო პროცესები, გააჩერებინეს მშენებლობა, მაგრამ ქალაქის მერის შეცვლის შემდეგ კვლავ განახლდა. ახლა უკვე ხალხი დააპირისპირეს ერთმანეთთან, თავიდან ვითომ 12-სართულიანი კორპუსი უნდა აშენებულიყო, მერე პროექტში კიდევ 15 სართული დაამატეს და აუშენებელი ფართები წინასწარ გაყიდეს. ახლა ეს მყიდველები დაობენ, დროზე დამთავრდეს მშენებლობა, ფული გვაქვს გადახდილი, როდემდე უნდა ვიყოთ უბინაოდო.

**ბესო ჭიჭინაძე**: (არქმშენინსპექციის ყოფილი უფროსი): სრული ქაოსია ნებართვების გაცემის სფეროში, როგორ შეიძლება მშენებლობის ნებართვა ელექტრონულად, ერთი არქიტექტურული ნახაზის საფუძველზე გაიცემოდეს, შარშანდლამდე ასე იყო, ეტაპობრივად, მშენებლობის პროცესში უნდა მომზადებულიყო პროექტი. მერე გამოვიდა მთავრობის №41 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ". 500-ზე მეტი ობიექტის მშენებლობაა შეჩერებული, რადგან პროექტში გათვალისწინებული არ იყო სახანძრო უსაფრთხოების ნორმები. ამ ობიექტების მშენებლობა განაშენიანების რეგულირების საფუძველზე დაიწყეს, რომ მერე ეტაპობრივად შეთანხმდებოდა შენობის პროექტი და გაიცემოდა მშენებლობის ნებართვა. ახლა მათ არც ნებართვა აქვთ, ძველი წესით ახალ ნებართვას ვეღარ გასცემენ, პროექტი ისეა შეთანხმებული, რომ სახანძრო ნორმები არ არის გათვალისწინებული, ბუნებრივია, პროექტს კორექტირება ჭირდება, ერთი სიტყვით, ისეთი ქაოსია შექმნილი, გაოგნდებით. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ არცერთი არქიტექტურული კომპანია საავტორო ზედამხედველობას არ ახორციელებს თავის ობიექტზე, არქიტექტორი მშენებლობაზე საერთოდ არ მიდის. არადა უხეში დარღვევებით მიმდინარეობს მშენებლობა, რაც საფრთხის ალბათობას ზრდის. რაც შეეხება სამშენებლო მასალების ხარისხს, მთავრობის №57 დადგენილების თანახმად, საშენი მასალები, ნაკეთობები და სხვა ელემენტები მშენებლობის პროცესში უნდა შემოწმდეს და შესაბამისი დოკუმენტაციაც შედგეს, რაც ობიექტის დამთავრების შემდეგ მიმღებს უნდა წარუდგინონ, რომ ეს ყველაფერი შემოწმებულია. სინამდვილეში არანაირი შემოწმება არ ხდება, არც სამშენებლო მასალა მოწმდება და არც ის, როგორ შენდება. სამშენებლო ბლოკები არასდროს მოწმდება სიმტკიცეზე, არც ღერძულა გაჭიმვაზე, არც სითბოგამტარობის კოეფიციენტი მოწმდება და ა.შ. უდიდესი შეცდომა იყო მშენებლობის სამინისტროს გაუქმება, როგორ შეიძლება ქვეყანაში, სადაც სამშენებლო ბუმია, ბიზნესის ერთ-ერთი პირველი შემოსავლის წყარო მშენებლობაა, რომელიც მუდმივად მუშაობს, მშენებლობის სამინისტრო და შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები არ არსებობდეს.

როგორ შეიძლებოდა არქმშენინსპექციის, გარემოს დაცვის სამსახურის, სანეპიდსადგურის ერთ რაღაც ზედამხედველობით სამსახურში გაერთიანება. დადიან ამ სამსახურის წარმომადგენლები (რა თქმა უნდა ყველა ახალგაზრდა) სამშენებლო ობიექტებზე და მხოლოდ იმას ამოწმებენ მშენებლობის ნებართვა თუ არის გაცემული, არსებობის შემთხვევაში ვადაგასული ხომ არ არის, ხარისხს არავინ უყურებს. რომ შეამოწმო, სპეციალისტ უნდა იყო, ერთ-ერთ ობიექტზე ზედამხედველობის სამსახურიდან ოთხი წარმომადგენელი იყო მისული, როგორც გაირკვა, ერთი ფილოლოგი იყო, მეორე ისტორიკოსი, დანარჩენი ორიც არ იყო მშენებელი. თუ მშენებლობის სამინისტრო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები არ აღადგინეს, მშენებლობის სფერო ვერასდროს მოწესრიგდება. ადრე არქიტექტურის სამსახურის უფროსები არქიტექტორები იყვნენ, თანაც გამოცდილი პროფესიონალები, დღეს ამ სამსახურის უფროსები იურისტები არიან, რომლებსაც მარტო ის აინტერესებთ, მშენებლობის ნებართვა თუ არის გაცემული, იურიდიული ნორმები ხომ არ დაირღვა.

**ანზორ საკანდელიძე**: რაღა ექსპერტული შემოწმება უნდა, როცა ხედავ, ჟანგიან, უკვე კოროზირებულ არმატურას რომ დებენ კონსტრუქციებში, რამდენად სწორად დებენ, ეგ კიდევ ცალკე საკითხია. არც მთავრობა ამოწმებს, არც მუნიციპალიტეტები, მარტო სამშენებლო კომპანიის პატიოსნებაზეა დამოკიდებული შეამოწმებს თუ არა. ვიღაცა მართლაც კეთილსინდისიერი მშენებელია, მაგრამ ამ განუკითხაობაში მისი პროდუქციაც უფასურდება, მყიდველი ვეღარ არჩევს, რომელია კარგი და რომელი ცუდი.

ახლა რა ექსპერტული დასკვნებიც იდება, ყველაფერი ფორმალურია. ასე, რომ არ იყოს, ვინ გასცემდა მეწყერულ ზონებში, ან ნაყარ მიწაზე მრავალსართულიანი კორპუსების აშენების დასაშვებობაზე დასკვნას. ერთ მაგალითს გეტყვით, სამშენებლო კომპანია „დირსი", რომელმაც მთელი კვარტალი გააშენა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, როგორც მითხრეს, მონოლითში აკეთებს ყველაფერს, ანუ კორპუსს გარედან მთლიანად ბეტონს არტყამენ. მძიმე ბეტონის თბოტექნიკური მაჩვენებელი ძალზე დაბალია, კონდენსირება ხდება. იმიტომაც ჩივის ხალხი, კედლებზე სოკოები ჩნდებაო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მაგ ტერიტორიაზე ადრე ნაგავსაყრელი იყო, არაფრით არ შეიძლებოდა აქ მრავალსართულიანი კორპუსების აშენება, მით უმეტეს მტკვართან ასე ახლოს, აგრესიული დინების ზონაში. გრუნტი უკვე დაწეულია, რაც იმის მომასწავებელია, რომ კორპუსების კედლები დაიბზარება. რამდენადაც ვიცი, იქ ბინები თითქმის არ იყიდება, რაც სერიოზული ზარალია მშენებლისთვის. ასე რომ, თვითონ სამშენებლო კომპანიაც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ზემოხსენებულ შემოწმება-ექსპერტიზებს ფორმალური სახე არ ჰქონდეს.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ქისტები და ჩვენ...



## კობა არაბული:

ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია გვამცნობს, რომ ძურძუკნი არიან თარგამოსის შთამომავალნი და ნათესავნი ქართველიანი:

ძურძუკოსი უწარჩინებულესი ძე იყო კავკასოსის — ქართლოსის ერთ-ერთი ძმის — გონიერი და გულოვანი...

როდესაც ხაზარები მოადგნენ ჩრდილო კავკასიას: „ესე ძურძუკოს ეზრახა ექვსთა ნათესავთა ძმათა... შველად რამე თუ ურთიერთ სიყვარულში იყვნენ...

გარდვიდნენ ქართლოსიანნი მთას აქეთით, და ერთობლივად სძლიეს მტერი, მოწყვიტეს და ჩაუკეტეს დარუბანდის კარი — ამის შემდგომ ხაზარები დიდი ხანი აღარ გამოჩენილან.

თვით ყრმა ფარნავაზი კავკასიის მთებში ფხოვსა და ძურძუკეთში აფარებდა თავს ალექსანდრე მაკედონელის ექსპანსიის დროს, როდესაც მამა მისი და ბიძა მისი სამარა (რომელიც მცხეთის მამასახლისი იყო) მოიკლნენ აზოს მიერ...

●

ფარნავაზი კავკასიის მთიანეთიდან (ფხოვიდან და ძურძუკეთიდან) ფრიად გაწვრთნილი მონადირე და მეომარი ჩამოვიდა. მან ჩამოიტანა უცნობი სამხედრო ხელოვნება „მზის ენერგია“ და იხილა ხვთაებრივი სიზმარი, რომელიც არის მითი და ნათელხილვა, ანუ მომავალი ომის მისტერია...

ფარნავაზმა და ქუჯიმ გაათავისუფლეს სამშობლო ურიცხვ ბარბაროსთაგან და შექმნეს პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო: „ფარნავაზ განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულის ენისა“...

ეს არის გენიალური მოვლენა! ქართულ ენაზე აღმოცენებული სახელმწიფო და ერი III საუკუნეში ჩვენს ერამდე... და ამაში თავისი დიდი წვლილი ძურძუკებსაც მიუძღვით...

●

ფარნავაზს ძურძუკი ქალი ესვა ცოლად და შვილმა მისმა საურმაგ — ფარნავაზის შემდგომმა მეფემ საქართველოისამ — გარდამოასახლნა ძურძუკნი და დასხნა „დიდოეთს და სავანეთს ეგრისამდე“... როგორც ყველაზე მისანდობი ნათესავი ტომი.

მან, მეფე საურმაგმა „აღამაღლა ძურძუკნი, დედულნი თვისნი“ და ქართველებზე მეტი პრიორიტეტი მისცა ბრძოლის ველზე!..

ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს უნიკალური და (არა შემთხვევითი) მოვლენაა ქართველთა და ჩეჩენ-ინგუშთა (ისტორიულ ვეინახთა) ურთიერთობაში...

ისიც საკვლევია და მკვლევართა ყურადღების მიღმაა დარჩენილი, თუ სად და როგორ, ან რომელი თემისა და კუთხის ეთნოსს შეერწყნენ თავის მიწაზე „ვერ დატეულნი“ და „კაცთა სიმრავლის გამო“ აყრილნი ძურძუკნი საურმაგის მიერ (ძვ.წ. II–I სს.).

●

ეს არის ქართველთა და ძურძუკთა (ანუ ჩეჩენ-ინგუშთა) შორეული ისტორიის ფრაგმენტები... მაგრამ ჩვენი დროისთვის და ვითარებისთვის მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი...

ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ ქისტურ და ქართულ ურთიერთობებს მეტი გაფრთხილება უნდა...



არც ახლა, XXI საუკუნეში ჰყავს ჩეჩენ-ინგუშებს (ხევსურთა ტერმინოლოგიით „ქისტებს“) ნაკლები ბარბაროსი ხაზაროიდული, სლავურ-მონღოლური რასა „მტრად მოკიდებული“, და არც ქართველთ — აზოზე ნაკლები სისხლის მწოველი, ვამპირი მტერი, ბავშვებს რომ სწირავდა კერპებს და ადამიანის ხორცს აჭმევდა...

საქართველომ გამოიარა ურთულესი ისტორია — ბეწვის ხიდი და ახლაც „ბეწვის ხიდზე“ დგას.

არც ვეინახებს უდგათ ლხინის სუფრა, როცა მათი ქალები რუსის ტანკზე მიბმული შემოჰყავდათ გროზნოს ქუჩებში და მუცლიდან ამოყვანილ ჩვილებს, ქალებს და მოხუცებს ცოცხლად უმარხავდნენ.

ეს მოვლენა აპოკალიფსის ნაწილია და ამ ვანდალიზმს და ისტორიული რასის გენოციდს დღევანდელი მასონურ-ლიბერასტული მსოფლიო გაუგონარი გულგრილობითა და დუმილით შეხვდა...

●

მინდა საგანგებოდ ვთქვა: პანკისელი ქისტები, ჩვენი სტუმრები და მასპინძლებიც არიან! ჩვენი ადათ-წესის და ქართული ენის ბრწყინვალედ მცოდნე და მოუბარნი (როგორც ფარნავაზის დროს!), საკუთარი ნათესავის კალთას შემოხიზნულნი. ამიტომ ქართველთა სახელმწიფო ვალდებულია (მათი მორალური ვალია) უფრო ფაქიზად და კორექტულად მოექცეს მათ!

ქისტებსაც მინდა მივმართო და ვუთხრა: გააცნობიერონ საქართველოს ურთულესი გეოპოლიტიკური „ხაფანგი“, რომელიც ბევრ შეცდომას აშვებინებს და მუდმივი ხიფათის ზღვარზე ამყოფებს მას, უქმნის გამოუვალ მდგომარეობებს... სახელმწიფოს (ქვეყანას), რომლის ერთი მესამედი ოკუპირებულია, ორ მესამედს ნახევრად ხილული და უხილავი „სფინქსის თვალი“ უყურებს... ახვევს იდუმალი იდეოლოგიის და ეკონომიკის ქაოსში, უსევს ათასნაირ არასამთავრობო ჯაშუშ სექტებს, ფსევდონაციონალურ, ლიბერასტულ-აგენტურულ პარტიებს, რომლებიც ციხეს შიგნიდან ტეხენ, შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება. ამ დროს არც ერთი ძველი თუ ახლადშექმნილი ჰიბრიდული წარმონაქმნი მეზობელი ტომი და სახელმწიფო, რომელიც ესაზღვრება საქართველოს, არ არის ჩვენი მოყვარე და კეთილისმსურველი, არის მტერი ან მოყვარე მტერი და წამგლეჯი ქართული მიწის და კულტურის...

●

ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ „ჩვენმა ქისტებმა“ და მოვლენებს ამ კუთხით შეხედონ. სახელმწიფოს დაუცველობა, შეცდომები, გამოუცდელობით და ვინმეს ზეწოლით, შეიძლება იყოს ზოგიერთი არასასურველი მოვლენის გამომწვევი ფაქტორი, თუმცა არა ყოველთვის საპატიო მიზეზი.

ქისტებმაც უნდა გააცნობიერონ საკუთარი შეცდომები ამ ახალი გეოპოლიტიკური ვითარებით, ჰიბრიდული ომებით და ისლამური „ჯიჰადებით“ გამოწვეული, რომელიც ხიფათს უქმნის სუსტ ქართულ სახელმწიფოს და მათივე ეთნოსს, მათივე ახალ თაობას, ამდენად, უფრო ფრთხილად ყოფნაა საჭირო...

უხუცესებმა მეტი თვალ-ყური უნდა ადვნონ ახალგაზრდებს, ხოლო ახალმა თაობამ არ დაივიწყოს ძველი ქისტურ-კავკასიური უფროს-უმცროსობის ადათ-წესი: სტუმარ-მასპინძლობა, ღირსება და ყური მიუგდონ უხუცესთა სწავლებას! მე მეჩვენება, რომ ქისტების ახალი თაობა ძველ თაობას რამდენადმე ემიჯნება, არ უსმენს — ეს სავალალო შედეგით დასრულდება!..

●

ჩეჩენ-ინგუშებს ბევრი ზნეობრივი ადათი ძველთაგან გადმოჰყვა, ვიდრე ისლამი იქნებოდა მათი რელიგია.

პანკისელი ქისტები იგივე ქართველები არიან და ცოტა უკეთესებიც მე თუ მკითხავთ; მათი ქართულის ცოდნა, მათი პატივისცემა ქართული ტრადიციებისა და კულტურისადმი სრულიად უნიკალურია!

მათი სულიერი-შინაგანი სილამაზე, მათი გარეგნობა ძველ იბერიულ-კავკასიურია.

მათი პატივისცემა და სიმამაცე, მათი პატიოსნება და ღირსება, მათი სტუმარ-მასპინძლობა და უღალატობა — განუმეორებელია!

ჩვენ დავკარგეთ და ვკარგავთ ბევრ რამეს იმ უძველესი კავკასიური ტრადიციებიდან — ქისტებს არ დაუკარგავთ!

ახალგაზრდა ქისტი ვეინახი უფროსთან პაპიროსს არ მოწევს, სიტყვას არ შეუბრუნებს, ფეხზე აუდგება... მათი ქალისადმი პატივისცემა — ნამუსის შენახვა — კავკასიურია, ჩვენი მთიელების ერთიანი მორალის ნაწილია...

— ჩეჩენი (და არც ხევსური) მტრის ბავშვს ხელს არ დააკარებდა...

●

ძველ საუკუნეებში ქისტები (ჩეჩენ-ინგუშები) ქრისტიანები ჩანან („ციხევ, ქალ-ღმერთის ნაგებო, ქრისტიანთ ხატებიანო!“ — ამას ადასტურებს ეს მითოსური ლექსიც). ქრისტეს რჯული ხაზაროიდულ-არაბულ-ყივჩაღურ და შემდგომ, თემურ ლენგის და შაჰ-აბასის რელიგიურმა ძალადობამ დააკარგვინა, ხოლო ხევსურთა მომიჯნე ჩეჩენ-ინგუშები ბოლომდე ქრისტიანებად რჩებოდნენ. ამიტომაც უწოდებდნენ მათ ქისტებს (ანუ „ქრისტებს“, ე.ი. „ქრისტიანებს“ — იხ, ალ. ჭინჭარაულის კვლევა).

პანკისელი ქისტები ბოლომდე კიდევ ქრისტიანები იყვნენ და მათი გაუცხოვება ქრისტიანული სამყაროსგან რუსეთის ვერაგულმა, მიზანმიმართულმა, რასათა გამთიშველმა პოლიტიკამ გადაწყვიტა.

●

ქისტებს (ჩაჩენ-ინგუშებს) იმდენი ბარბაროსული ძალადობა, იმდენი ხოცვა-ჟლეტა (მათ შორის, სრული, დედაბუდიანად აყრა-დეპორტაცია) აქვთ გადატანილი რუსების მიერ, რომ აღარაფერი გაუკვირდებათ!

მსოფლიომ როგორც ჩეჩნების გენოციდი, ასევე ქართველთა მიწა-წყლის დანაწევრება და ოკუპაციაც „გადაყლაპა“ — ახლა „ნიანგის ცრემლებით“ რომ დაგვტირიან და შიშველ-ტიტველ სხეულზე ვითომ „თაფლს გვისვამენ“...

ამდენად და ამიტომ, ჩვენ „ერთ ბედ ქვეშა ვართ“ და ქართულ-ქისტურ ურთიერთობას მეტი გაფრთხილება უნდა!

როგორც ვთქვი: ქისტებს აღარაფერი გაუკვირდებათ, იმდენი „წისქვილის ქვა“ დატრიალდა მათ თავზე... მაგრამ გაუკვირდებათ და ეწყინებათ ჩვენგან! ეტკინებათ გული ჩვენი გულგრილი და „ოდიოზური“ დამოკიდებულების გამო...

სახელმწიფოც უფრო ფაქიზად და კორექტულად უნდა მოიქცეს მათ მიმართ — ასეთი უნდა იყოს პოლიტიკურ-სტრატეგიული მიზანშეწონილობა!..

●

აქვე დავძენ:

საქართველოს, ამ გლობალურ





სივრცეში, ამ ურიცხვ ტომთა და რასათა, თუ სახელმწიფოთა გარემოცვაში ქისტებზე უკეთესი, ერთგული და გულშემატკივარი მეზობელი არ ჰყავს...

მათ და მხოლოდ მათ, ვეინახების სისხლს და ჯიშს არ უღალატია საქართველოსთვის...

მხოლოდ მათ შეუძლიათ ქართველთა მხარდაჭერა, ქართველებთან ერთად ბრძოლა საერთო ფატალური მტრის წინააღმდეგ ომში.

ქისტმა კარგად იცის მისი რასის (ტომის) ტრაგიზმს რომ ემგვანება ქართველთა ბედისწერა...

იგი არასოდეს არის უმადური იმ მიწისა და რასის მიმართ, სადაც ცხოვრობს — იგი თვალისჩინივით უფრთხილდება პანკისის მიწა-წყალს, ბუნების ამ მშვენიერ მარგალიტს...

არც ერთ საუგო, ზედმეტ სიტყვას არ ამბობენ ქართული სახელმწიფოს საზიანოდ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ სწყინთ და სტკივათ...

არც ელიზბარ არგოშვილს, არც სულეიმან გუმაშვილს, არც ჯარაფ ხანგოშვილს — ამ ბრძენ ადამიანს, არც რომელიმე სხვა უხუცესს და ახალგაზრდა ქისტს სახელმწიფოს მიმართ საყვედური არ დასცდენია... თუ ასე გაგრძელდა, ავიყრებით და გადავსახლდებითო!.. მოვისმინე ქისტი ქალების სიტყვები. გული დამწყდა: რა იქნება საქართველო, პანკისის ხეობა უქისტებოდ!.. მართლა რომ აიყარონ და წავიდნენ — ღმერთმა დაიფაროს...

რა თქმა უნდა, სწყინთ და გული სტკივათ მშობლებს — დედას და მამას, მაგრამ არც მათ უთქვამთ რაიმე ისეთი ქვეყნის და სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც შვილმოკლული მშობლებისთვის საძრახისი იქნებოდა! ისინი გამოძიებას და გარკვევას ითხოვენ, როგორ და რატომ მოკლეს მათი შვილი — თემირლან მაჩალიკაშვილი — ნამდვილად იყო ეს აუცილებელი, ან იქნებ, საბედისწერო შეცდომა იყო, ან გააზრებული პროვოკაცია ვითარების დაძაბვისთვის... რეალური ურთიერთობა ჰქონდა მას ტერორისტებთან, თუ მათთან მხოლოდ სურათი ჰქონდა გადაღებული...

არის ეს კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს. სწორი, გაბედული პასუხია საჭირო ერის ღირსებისთვის, დაზარალებულის პატივისთვის, გონიერი საზოგადოებისთვის (და არა შარლატანებისთვის, მიცვალებულის საფლავსაც კი სამარცხვინო პოლიტიკური პროვოკაციისთვის რომ იყენებენ). და თუ შეცდომა დავუშვით, უნდა ვაღიაროთ და „ვზღოთ“ ჩვენი შეცდომის „წილი“ — ასეთია ქართულ-კავკასიური სააადათო სამართალი და სახელმწიფოს მორალიც!

●

ახლა დავუბრუნდეთ ქისტებთან ურთიერთობის ფოლკლორულ-ისტორიულ მაგალითებს.

ჩეჩენ-ინგუშები (ქისტები) ხევსურების მოსაზღვრე ტომი იყო.

ხევსურები პატივს სცემდნენ ქისტების პირდაპირობას და მამაცობას — მათ მოყვრობაც ჰქონდათ და მტრობაც...

მტერი ხომ მტერია, მაგრამ ქისტ მტერს ხევსურთა ანდრეზული იარლიყი — „კარგი მტრის“ სტატუსი ჰქონდა მინიჭებული...

„კარგი მტერი“ ის არის, პირდაპირ რომ შეგებრძოლება და ღალატით არ მოგკლავს!

სწორედ ასეთია ალუდა ქეთელაურისა და ქისტი მუცალის საოცარი ორაბრძოლა.

(ვაჟა-ფშაველა გენიოსი იყო და იცოდა, რასაც წერდა).

ალუდა ქეთელაურის ფსიქიკა მთლიანად შეცვალა მუცალის ვაჟკაცობამ, მისმა „კაი-ყმობამ“, გაუხსნა მას სხვა მორალის სამყარო. ის არც მკლავს სჭრის მუცალს და არც იარაღს აჰყრის. უფრო მეტიც, „გუდანის ჯვარში“ კურატს სწირავს მის სახელზე და ხევისბერთა რისხვას იწვევს...

ვინაიდან თემისთვის ყველა მტერი მტერია — „კარგი“ და „ცუდი“ არ არსებობს. ალუდა ქეთელაურისთვის კი ასე არ აღმოჩნდა, არც ვაჟასთვის.

ალუდას პიროვნებაში გაიღვიძა უფრო ძველმა ადათმა, რომელიც ერთ უძველეს მითოსურ ლექსში იკითხება და კავკასიური მორალია გაცხადებული:

„ხევსურებ მოიკითხავენ, — ნასკვაურის ძე სად არსა?!

— ომში არს ნასკვაურის ძე, იმის ამოსვლა გრძლად არსა...

მტერს მოჰკლავს, ხელსა არ მოსჭრის, ხევსურის წესი არ არსა!“

შეიძლება ითქვას, მუცალის ფენომენმა ალუდა აქცია საყმოს „ენიგმურ“ ფიგურად და გაუცოცხლა საკრალური დროის ხსოვნა. იგი სულ სხვა ფსიქოტიპად წარსდგება თემის წინაშე მუცალთან „შეხების“ მერე...

ალუდას ძველ მორალს, რომ მოკლული მტრისთვის „ხელის მოჭრა წესი არ არსა“ — მუცალის ფენომენი უბრუნებს. ხევსურთა ძველი ადათით, მტრისთვის არათუ ხელის მოჭრა მოკლულისთვის სახეში „ჩაშტერებაც“ კი მძიმე „ჯურუმით“ ისჯებოდა!..

ხოლო ხელის მოჭრა თემმა, ეტყობა, უფრო გვიან, კავკასიაში შემოჭრილ ისლამურ ძალადობას დაუპირისპირა...

●

ერთ მაგალითს მოვიტან ჩემი პირადი ურთიერთობიდან ქისტებთან:

90-იან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ეროვნული ეიფორია იყო და ყველანი ერთმანეთს პატივს ვცემდით, დედაჩემის დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა: მწერალი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწეები, ნათესაობა და მათ შორის ახლობელი ქისტები.

როდესაც ხევსურებმა სუფრაზე ქისტები დაინახეს, ძალიან გაუხარდათ.

ადგა ფეხზე ერთი მხცოვანი, ახოვანი არხვატელი კაცი (დედაჩემის ბიძაშვილი) ხელში ყანწი აიღო და თქვა:

„ძალიან გამახარა ქისტების აქ ყოფნამ, ამ მწუხარების ტაბლაზე... ამათან ძმობაც და მტრობაც ღირდა! მერჩივნა, ჩემი მტერი ქისტი ყოფილიყო, ესენი უვალ-უბრალოდ კაცს არ მოჰკლავდნენ! კაი კაცი ყოველთვის ბეჩავისგან კვდებოდა. კარგი კარგს ადვილად არ მოკლავდა, დაინდობდა! ქისტები ასეთები იყვნენ!“ და მან ქისტების სადღეგრძელო შესვა.

ხნიერი ხევსურის ამ სიტყვას მთელი სუფრა ფეხზე წამოუდგა.

ინტელიგენციამ თავისი გაკვირვება გამოხატა: ახლა ჩვენს შორის აფხაზურ-ქართულ, თუ საერთო კავკასიურ ურთიერთობებში ასეთივე მიდგომა რომ იყოს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო... რეგიონში სიმშვიდე იქნებოდა...

მაშინ ვითარება დაძაბული იყო და ხევსურის ეს სიტყვა მართლაც, თითქოს მოულოდნელი იყო.

●

ალექსანდრე ბატონიშვილის რუსებთან ომის დროს შატილში ხევსურების (ქართველთა ლაშქრის) დასახმარებლად ქისტების ასკაციანი რაზმი მოხულა, მაგრამ ვეღარ მოუსწრიათ — ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე გადასული იყო დაღესტანზე, რუსები კი — წასული...

ქისტები რუსებს გაჰკიდებიან და ვეღარ დასწევიან. შემდეგ უყიდიათ შატილში, ყველაზე დიდი თეთრი ხარი და გაღმა ჯვარში შეუწირავთ...

და შატილს: დახოცილთა პარაკლისის სუფრა გაუშალეს. ამას შატილელები გვიანობამდე იგონებდნენ.

იმასაც იტყოდნენ: რომ ქისტებს მოესწროო: გავიმარჯვებდითო!

●

ქისტებს და ხევსურებს ერთნაირი, ერთმანეთის გავლენით დადებული რჯულ-სამართალი ჰქონდათ.

მაგალითად, კაცის არკვლის და სანაცვლოდ დამნაშავის „ჩრდილის მოკვდინების“ წესი ხევსურთაგან სწავლებული ჰქონიათ ქისტებს.



ხოლო „დიაცთა ენობის“ შეზღუდვის „რჯული“ ხევსურებისთვის ქისტებს მიუციათ.

როდესაც ხევსურთა ორ სოფელს „ქალის ენობის“ (წაქეზების) მიზეზით ლამის ერთმანეთი ამოუწყვეტია, შუა კაცად ქისტები ჩამდგარან: დაჭრილებს წყლულებს ქისტის ქალები უხვევდნენ...

მაშინ ქისტების რჩევით დაიდო ხევსურთა სალოცავებში ახალი „რჯული“ — „დიაცთა ენობის“ აკრძალვის შესახებ:

მოენე დიაცის ოჯახს, გვარს, ჩამომავლობას უმძიმესი „ჯურემი“ — ჯარიმა დაუწესდა, თუ ქალის ჭორი და სიტყვა ზიანს მიაყენებდა თემს და მის ინტერესებს.

ხევსურეთს ახსოვს დიაცთა ენობით დანგრეული სოფელი („დალივნა თათხელიონნი დიაცთა ენობამაო“).

შორს თუ წავალთ, დიაცის უზნეობამ დაანგრია ტროა, და თუ ახლოს დავრჩებით: არც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას აყარა კარგი დღე.

●

ხევსურები და ქისტები თვლიდნენ, რომ ქალის გონება, ნებელობა და საიდუმლოს შენახვის უნარი საკმარისი არ იყო რთული სათემო და საერო საქმეებისთვის...

ამიტომ ისინი ქალებს არ რევდნენ საჭირბოროტო საქმეების განსჯაში, არ იწვევდნენ „რჯულში“ („ბჭეში“).

მაგრამ ეს არ ნიშნავდა ქალისადმი უპატივცემულობას, ქალს ისედაც დიდი ფუნქცია და მისია ჰქონდა: ის წყვეტდა და მართავდა ბევრ საშინაო, სამეურნეო საქმეს.

ქალი იყო გვარში მაღალი ჯიშის შემოტანის „ფუნქციონალი“. ჯიშიერი ქალის შემოსვლა ოჯახისთვის და გვარისთვის დიდი პატივი და სიხარული იყო.

ჯიშნაკლული ქალი კი აკნინებდა და უარყოფითად ცვლიდა გვარის გენეზისს — შეიძლება „სიტყვამცდარობასთან“, „ავ ენობასთან“ ერთად ფიზიკური გადახრის (მანკიერების) რაიმე გენეტიკური ნიშანი შეეტანა გვარში...

ამიტომ ქალი ფრიად დაფასებული და „განდობილი“ იყო — ის არ ერეოდა კაცის (თემის) საერო საქმეებში და სრულიადაც არ ჰგავდნენ ლობეზე მხტომარე და პარლამენტში მჩხავანა დედაკაცებს. ისინი ლამაზები და გონიერნი იყვნენ და იცოდნენ სიყვარული.

არის ერთი მაგალითი: ქისტებს ტყვე ქალები ჩაუტარებიათ შატილზე. ერთ-ერთ მათგანს უთქვამს, რომ წივილ-კივილი აეტეხათ, მანდ ჩემი დედიძმანია და გვიშველიანო, მაგრამ მეორეს დაუშლია: შატილიონი გამოვლენ და ერთმანეთს ჩახოცავენ. ნუ ჩავახოცინებთ ერთმანეთს, ჩვენ მაინც გამოგვიხსნიანო. ტყვეებმა იცოდნენ, რომ იქ ნამუსს შეუნახავდნენ...

ეს მართლაც ასე მომხდარა.

ამ ქალის გონიერებას ქებით იხსენებდნენ ხევსური უხუცესნი. ასეთი იყო მორალი.

595 57 99 43

# რა მიზნით შეიქმნა საზოგადოება „გუდაუთა“ და როგორ აპირებს იგი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადაყვანას?

## ვაჟა კაკაბაძე: აფხაზები ამაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა შეშფოთების საფუძველი ნამდვილად აქვთ



**ბოლო წლებში ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების გარკვეული გააქტიურება შეინიშნება, თუმცა ცხადია, რომ ომის შემდგომ გაჩენილი უნდობლობისა და ხიდჩატეხილობის პრობლემის დასაძლევად, ეს საკმარისი არაა. რა განწყობაა აფხაზებში, აფხაზ ახალგაზრდებში საქართველოსთან დაახლოების კუთხით, რა მიზნით შეიქმნა საზოგადოება „გუდაუთა“ და როგორ აპირებს ორგანიზაცია სახალხო დიპლომატიის გზით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადაყვანას, ამაზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მწერალი, ორგანიზაცია „გუდაუთას“ წევრი ვაჟა კაკაბაძე გვესაუბრა:**

— საზოგადოება „გუდაუთელი“, რომელსაც გაიოზ მეტრეველი ხელმძღვანელობს, 4 წლის წინ შეიქმნა. ორგანიზაციაში 2000-ზე მეტი წევრია, რომელთა უმეტესობა გუდაუთიდან იძულებით გადაადგილებული პირი გახლავთ. ძირითადი ბირთვი და მათ შორის მეც არც ერთ პარტიაში გაწევრიანებული არ ვართ.

— **ორგანიზაციის სახელწოდებად რატომ მაინცდამაინც გუდაუთა აირჩიეთ და არა სოხუმი, გაგრა ან აფხაზეთის სხვა რომელიმე ქალაქი?**

— გუდაუთა ფაქტობრივად, აფხაზეთის შუაგულია და მთელ კუთხეს აერთიანებს. მეც გუდაუთაში დაბადებული ვარ, თუმცა სახელწოდებაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციის მიზანია, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატახილი ხიდის აღდგენას ისახავს. სახალხო დიპლომატია თავისი განვითარების დონით შეიძლება ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო იყოს. აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევა არის როგორც ადგილობრივი (რადგან აფხაზეთი საქართველოა), ისევე რეგიონული. თუ გავითვალისწინებთ კავკასიაში საქართველოს გავლენას, ცხადია, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რეგიონალური მნიშვნელობის ხდება. ამიტომ კარგად გათვლილი რეგიონალური პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან მოკავშირეობა. სახალხო დიპლომატიის ყველაზე დადებით მხარეს განსხვავებულთა თანაარსებობის პირობების შექმნა და ინტერესთა შეთანხმება წარმოადგენს.

— **ორგანიზაციაში აფხაზებიც არიან?**

— რა თქმა უნდა.. ჩვენს ერთ-ერთ ბოლოდროინდელ სატელევიზიო გამოსვლაში აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე გვყავდა სტუმრად, რომელიც ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, იმ მხრიდან გარკვეული მზადყოფნა რომ არ იყოს. დიახ, აფხაზეთიდან ქართულ მხარესთან ურთიერთობის აღდგენის მიმართულებით გარკვეული გზავნილები მოდის. ეს პირველ რიგში, უბრალო ადამიანების სურვილია, რომლებიც ხვდებიან, რომ შეიძლება ეროვნული იდენტობა დაკარგონ. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ აფხაზებს ძალიან



აშინებთ სომხების კულტურული ავტონომიის მოთხოვნა..

— **სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კრუნკი“ და აფხაზეთის სომხური საზოგადოება კი იმითაა უკმაყოფილო, რომ სომხებს „ქართული ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა სათანადოდ არ დაუფასდათ. „კრუნკი“ დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში სომხური ნაციონალური-კულტურული ავტონომიის შექმნა აუცილებელია აფხაზეთში მცხოვრები სომხების ეთნო-კულტურული მოთხოვნილებისთვის.**

— ეს ორგანიზაცია იმასაც ამბობს, რომ სომხები აფხაზეთში ეროვნულ უმცირესობას არ წარმოადგენენ და ამის მაგალითად, გულრიფშის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებს ასახელებს, საიდანაც ქართული მოსახლეობის განდევნის შემდეგ, სომხური მოსახლეობა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. მათი თქმით, სომხები აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის, არაბების და თურქების წინააღმდეგ და აფხაზეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს. თურმე, აფხაზეთის ძირძველ, სომხურ მოსახლეობას აფხაზეთში ეროვნულ-კულტურული ავტონომიის შექმნისთვის ყველანაირი კანონიერი საფუძველი ჰქონია. აფხაზები ამაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა შეშფოთების საფუძველი ნამდვილად აქვთ. ჩვენთვის მათი განწყობა კარგადაა ცნობილი. უამრავი აფხაზი ჩამოდის საქართველოში სამკურნალოდ, თანაც ჩვენს ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი აქვს აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთან და ჩრდილოეთ კავკასიის უხუცესთა კავშირთან, სადაც მშვენივრად იციან, რომ აფხაზ და ქართველ ხალხს დიდი ისტორია და სიყვარული აერთიანებს.

— **სახალხო დიპლომატია ახსენეთ.. იქნებ, სახალხო დიპლომატიის ბოლოდროინდელი მიღწევების რამდენიმე მაგალითი დამისახელოთ?**

— ამ მიმართულებით ძალიან დიდ საქმეს აკეთებს სოხუმის უნივერსიტეტი, რომელიც ცდილობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტების დაახლოვებას. არაოფიციალური წყაროებიდან შევიტყვე, რომ მათ აფხაზეთიდან სტუდენტები ჰყავდათ ჩამოყვანილი. სამშობლოში დაბრუნების მერე ამ ახალგაზრდებს უკითხავთ „რატომ ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ ქართველებს ვძულვართო“. ახლახან სოხუმის უნივერსიტეტის რექტორს შევხვდი, რომელმაც სოხუმელ ბავშვებს უმასპინძლა და თბილისი დაათვალიერებინა. მისგან გავიგე, რომ ჩამოსვლის დღეს ბავშვები მხოლოდ აფხაზურად საუბრობდნენ, მერე კი ზოგი მეგრულადაც კი ალაპარაკდა. ჩვენი აფხაზეთის მხატვართა კავშირმა აფხაზ ბავშვებს ღია ბარათები გაუგზავნა და მათგან უკვე პასუხები მიიღო. აი, ესაა სახალხო დიპლომატია.. რაც შეეხება ჩვენს ორგანიზაციას, ჩვენ სისტემატიურად გვეხმიანებიან სხვადასხვა ქვეყანაში კერძოდ, სოჭში და პეტერბურგში მობინადრე აფხაზები და ქართველები ორგანიზაციის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავენ.

ჩვენ მზად ვართ ყველასთან ვითანამშრომლოთ რა თქმა უნდა, მხოლოდ სახალხო დიპლომატიის ფარგლებში.

— **მხოლოდ სახალხო დიპლომატიით ასეთ პრობლემასთან გამკლავება შესაძლებელია?**

— რომ ვთქვა, რომ ჩვენი ორგანიზაცია აფხაზეთს დაიბრუნებს, აბსოლუტური ტყუილი იქნება. ვერც იმას დავპირდები ჩვენს იძულებით გადაადგილებულ ქართველ და აფხაზ მეგობრებს, რომ სახალხო დიპლომატია ხელს შეუწყობს აფხაზეთში მათ დაბრუნებას. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ აფხაზები შევინარჩუნოთ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ. მე თუ შევინარჩუნებ აფხაზეთს აფხაზეთში, მომავალში აფხაზეთის დაბრუნების პირობას შევქმნი და ოდესღაც დადგება დრო, როცა ჩვენ შევძლებთ ამ ტერიტორიის უკან დაბრუნებას თავის მშობლიურ სახლში. ჩემი წინადადებაა შეიქმნას თავისუფალი საგანმანათლებლო ზონა, რაც აფხაზეთში და საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს საშუალებას მისცემს უფასო ან შეღავათიან ფასებში განათლება მიიღონ, თავისუფალი საგანმანათლებლო ზონა სწორედ ამას ითვალისწინებს. მე, ეს წინადადება ადრედაც წამოვაყენე, როცა ეკონომიკის სამინისტროში ვმუშაობდი, მაგრამ მაშინ საქართველო დსთ-ს წევრი იყო და ეს წინადადება მიუღებლად მიიჩნიეს, უფრო მეტიც კინაღამ ერის მოღალატედ შემრაცხეს. სახალხო დიპლომატიაში ჩართულია გუდაუთაში მცხოვრები ბევრი ცნობილი პიროვნება და მალე უფრო მეტი ჩაერთვება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, გვინდა შევხვდეთ აჭარაში მაცხოვრებელ აფხაზებს. მერე ჩავიდეთ ზუგდიდში და გუდაუთაში სადაც შევხვდებით უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლებს. ორგანიზაცია „გუდაუთელი“ იწყებს სახალხო დიპლომატიის გზით ჩატეხილი ხიდის აღდგენას აფხაზებსა და ქართველებს შორის და ინფორმაციის გავრცელებაში დახმარებას თხოვს ყველა პარტიას და მასმედიის ყველა საშუალებას.

და ბოლოს, ჩვენს მოძმე აფხაზებს რუსთველის სიტყვებს შევახსენებ „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

**ნელი თორდია**

571 35 36 88



# ორი კორეა ერთად და „შავი ორშაბათი“ სავაჭრო ბირჟებზე

მსოფლიო საზოგადოების ყურადღება გასულ კვირას, ძირითადად, სამხრეთ კორეისკენ იყო მიპყრობილი. ნაწილი პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სპორტული სანახაობის, ოლიმპიური თამაშების დაწყებას ელოდებოდა. პოლიტიკოსებისთვის ინტრიგას აძლიერებდა ჩრდილოეთ კორეის სტუმრობა სამხრეთელებთან. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოელი და სამხრეთელი ოფიციალური პირები ერთმანეთთან ვიზიტით თითქმის 60 წელია, არ ყოფილან. ამჯერად ჩრდილოელთა დელეგაციის შემადგენლობაში ქვეყნის ხელისუფლების წევრები იმყოფებოდნენ, რომლებსაც მთავრობის ხელმძღვანელი, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მეთაურობდა. მთავრობის მეთაური კი ჰქვია, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, ვინ განაგებს ჩრდილოეთ კორეას. განსაკუთრებული მოულოდნელობა კიმ ჩენ ინის უფროსი დის ჩასვლა აღმოჩნდა.



სამხრეთელებმა ჩრდილოელი მოძმეები თბილად მიიღეს, ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს და მოლაპარაკებაც გამართეს. საინტერესო გახლდათ სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მუნ ჯინ ირის და კიმ ჩენ ინის დის პირისპირ საუბარი, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ჩრდილოელმა სტუმარმა მასპინძელ პრეზიდენტს პირადად გადასცა თავისი ძმის წერილი. ამასთან, ოფიციალური ვიზიტითაც მიიწვია. სამხრეთის პრეზიდენტმა მიწვევა მიიღო და დაჰპირდა, რომ აუცილებლად ეწვევა ჩრდილოეთ კორეას.

პოლიტიკოსებმა აღიარეს, რომ წლევანდელი ზამთრის ოლიმპიადა აღმოსავლეთ აზიისთვის, შესაძლოა, მშვიდობის მომტანი აღმოჩნდეს. მათივე მოსაზრებით, ჩრდილოეთის დელეგაციის ვიზიტით გაყოფილი ქვეყნის შერიგებისკენ გიგანტური ნაბიჯი გადაიდგა. სპორტსმენების გარდა, სამხრეთ კორეის ფხენიანს ხელოვნების მოღვაწეებიც ეწვივნენ. თვალშისაცემი გახლდათ ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტებთან საუბარს გაურბოდნენ, მხოლოდ ერთ-ორ სიტყვას თუ იტყოდნენ და ამით ამთავრებდნენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ კორეაში დამარცხდა.

ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ვიზიტი ყველას როდი ესიამოვნა. იაპონიის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოეთმა ჯერ უნდა შეაჩეროს ბირთვულ იარაღზე მუშაობა და შემდეგ გახდება შესაძლებელი მოლაპარაკებების დაწყება. თავად სამხრეთის მოსახლეობის ნაწილიც ეწინააღმდეგება ჩრდილოელების სტუმრობას, მით უფრო, ზოგიერთ სახეობაში ერთ გუნდად გამოსვლას. მემარჯვენე ძალების ინიციატივით საპროტესტო აქციებიც გაიმართა.

ოლიმპიადის გახსნას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი ესწრებოდა. თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიამდე სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მიერ გამართულ ოფიციალურ მიღებაზე პენსმა იქ მყოფ ყველა ქვეყნის დელეგაციების ხელმძღვანელებს ჩამოართვა ხელი, გარდა ჩრდილოელებისა.



გარდა ამისა, მან დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი, სადაც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ჩრდილოეთ კორეელებიც იმყოფებოდნენ.

პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ მაიკ პენსმა დაუშვა პოლიტიკური შეცდომა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პენს უჭირდა ჩრდილოელთა სამხრეთში ყოფნით გამოწვეული გაღიზიანების დამალვა. როგორც აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტები, ამერიკული მხარე აშკარად უკმაყოფილოა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობის დაწყებისა. სამშობლოში დაბრუნებულმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, აშშ-მ მოლაპარაკება დაიწყოს ჩრდილოეთ კორეასთან იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებას შეაჩერებენ. ამასთან, ფხენიანის მიმართ სანქციები კიდევ უფრო გაძლიერდებაო. როგორ განვითარდება მოვლენები კორეის ნახევარკუნძულზე, ამის კონტურები ზამთრის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ გამოიკვეთება.

ამასობაში კი მსოფლიო სავაჭრო ბირჟებზე „დამანგრეველი მიწისძვრები“ მოხდა. ჯერ კიდევ განვლილი კვირის დასაწყისში სავაჭრო ბირჟებზე დაიწყო აქციების ფასების ვარდნა. რყევები თავდაპირველად ამერიკიდან დაიწყო და მსოფლიოს მოედო. ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ „შავ ორშაბათად“ მონათლეს. ფასების ვარდნა ხუთშაბათსაც გაგრძელდა. როგორც ამბობენ, საფონდო ბირჟებმა 100 მილიარდი დოლარით იზარალეს. თუმცა მიმომხილველების ვარაუდით, ბირჟების წარმომადგენლები რეალურ თანხას მალავენ და ზარალი უფრო დიდიაო.



საფონდო ბირჟებზე რყევის მიზეზად ექსპერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლადმიღებულ საგადასახადო რეფორმას ასახელებენ. ამასთან, არ გამორიცხავენ, რომ ახალმა რეფორმამ აშშ-ში „დიდი დეპრესია“ გაიმეოროს,. რაზეც არსებული სიტუაცია მიუთითებს. ექსპერტები იმასაც აცხადებენ, რომ დღეს გლობალური ფინანსები ისე მყიფეა, როგორც არასდროს. არ გამორიცხავენ ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნული ვალუტის ვარდნასაც. ვიდრე ექსპერტები რყევების მიზეზებს ეძებენ, საფონდო ბირჟებზე ვითარება კვლავ რთულია.



ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, როგორც ჩანს, მშვიდობის დამყარება იოლი არ იქნება და არც ახლო მომავალშია მოსალოდნელი. სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რეგიონში, შესაძლოა, ახალი ძალით იფეთქოს შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, რომელშიც ჯერ კიდევ ჩუმად მყოფი ქვეყნებიც ჩაერთვებიან. თითქმის ერთი თვეა, თურქეთის არმია სამხედრო ოპერაციებს ატარებს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთი შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ. ორივე მხარეს მსხვერპლი უკვე დიდია, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაში. თურქეთის მხარე ცდილობს, ქვეყნის სამხრეთით შექმნას ბუფერული ზონა და გაამაგროს საზღვარი.

ქურთი მებრძოლების გარდა, ექსპერტების განცხადებით, სირიის ჩრდილო-დასავლეთით გამაგრებულია სხვადასხვა ჯურის და დასახელების რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფება, რომლებიც იგილთან ერთად იბრძვიან. სწორედ ამ მიდამოებში ჩამოაგდეს ტერორისტულმა დაჯგუფებებმა თუირქეთის სამხედრო ვერტმფრენი. ექსპერტების განცხადებით, ტერორისტებმა გამოიყენეს გადასატანი საზენიტო კომპლექსი, კონკრეტულად რომელი დასახელების, ვერ აკონკრეტებენ. თურქი მიმომხილველები იუწყებიან, რომ ტერორისტები შეიარაღებას აშშ-ისგან და ისრაელისგან იღებენო.

დასავლური პრესის ცნობით, ამერიკული მხარე მომხრეა, ქურთების სახელმწიფოს შექმნის. სწორედ ამ მიზნით აიარაღებენ ქურთ მებრძოლებსო, აცხადებენ. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ქურთისტანის შექმნით საფრთხე თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას ექმნება. სწორედ ამ გარემოებამ გააღიზიანა თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი, რომელმაც საჯაროდ მიმართა ამერიკულ მხარეს: „...ხომ თქვით, დავამარცხეთ რეგიონში ტერორიზმიო? თუ დაამარცხეთ იგილი, წადით რეგიონიდან...“ თუმცა ერდოღანის მოწოდების და სირიის ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად, აშშ რეგიონიდან წასვლას არ აპირებს და სირიაში სამხედრო ბაზაც შექმნა.

გასულ კვირას ისრაელის მხარემ დაადანაშაულა ირანის მხარე, თითქოს მათი უპილოტო საფრენი აპარატი ისრაელის ტერიტორიაზე შეიჭრა ამის გამო ისრაელის საჰაერო სამხედრო ძალების F-16 ტიპის თვითმფრინავმა შეტევა განახორციელა სირიის ტერიტორიაზე არსებულ ირანის სამხედრო ბაზაზე. საპასუხო ცეცხლით ისრაელის თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თუმცა პილოტებმა კატაპულტირება მოასწრეს ისრაელის ტერიტორიაზე. ბენიამინ ნეთანიაჰუ შეშფოთებული ესაუბრა ტელეფონით რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. როგორც ცნობილი გახდა, პუტინმა მხარეებს მოუწოდა ყოველგვარი პროვოკაციებისგან თავშეკავებისკენ, რათა არ გაღრმავდეს კონფრონტაცია. სავარაუდოდ, ნეთანიაჰუ დაეთანხმა, რადგან მეორე დღეს განაცხადა, კონფლიქტი ამოწურულიაო. თუმცა დაამატა, რომ ისრაელს უფლება აქვს, დაიცვას საკუთარი ქვეყანა ნებისმიერი აგრესიისგანო.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში – მშვიდობის დასამყარებლად სამხედროები იზრუნებენ თუ დიპლომატიურ მოლაპარაკებას ექნება უპირატესობა. თუმცა, როგორც ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი აცხადებს, სიცრუე ომის ერთ-ერთი ნაწილი ყოფილა.

თეთრ სახლში კი, შესაძლოა, ახალი სკანდალი აგორდეს, რომელიც, ამჯერად, დონალდ ტრამპის პირად ცხოვრებას ეხება. გავრცელებული ჭორებით, ტრამპმა მელანიას 12 წლის წინ პორნოვარსკვლავთან უღალატა და ახლა მელანია პატიებას არ აპირებსო. თუმცა ჯერჯერობით ჭორი ჭორად რჩება და თეთრი სახლიდან ყვითელი პრესისთვის არ უპასუხიათ. თუმცა, რა ვიცით... საერთოდ, როგორც ანდაზა გვეუბნება, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ძალიან კი ვფრთხილობ, მაგრამ, გული მიგრძნობს, ნარმანია მაინც მომიხელთებს სადმე და აუცილებლად გამიტეხავს თავს



მას შემდეგ, რაც ვარკეთილის მეტროში ჭერი ჩამოინგრა – ჭერის შიში დამჩემდა, უფრო სწორად თავში მძიმე საგნის მოხვედრის და სულის გაფრთხობის შიში დამჩემდა. ხოდა, დავდივარ გზააბნეული ბატივით, სულ ზემოთ და მაღლა ვიყურები. ავედი, ამას წინათ, ნარმანიას დაპირებისამებრ მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საფასურის გადახდას ვცდილობ და თან სახურავს ვუყურებ, მეჩვენა რომ ჩამოზნექილია, ვერა და ვერ ავიღე ბილეთი, ის იყო დაბლა დახედვას ვაპირებდი, როცა ვიღაც ღვთისნიერმა მითხრა: – გაფუჭებულია აპარატიო. დავჯექი გადატყავებულ, ზურგახეულ სკამზე ხელის ცეცებით – თვალს ვერა და ვერ ვაშორებდი შეზნექილ-ამოზნექილ სახურავს და არ იყო ცუდი, ადრენალინი ვიგრძენი, 50 თეთრად ასეთ მაგარ ატრაქციონზე არასდროს ვმჯდარვარ.

მოვათრიე ბაზრიდან სახლში უზარმაზარი ჩანთა, ვეჯახებოდი გზადაგზა ხალხს, მაგრამ ცისთვის მაინც არ მომიშორებია თვალი, აი, იქ საწვიმარი მილი ისე კიდია სახლს, უნდა შემოვუარო ამ ადგილს, იქ სახურავი გამოიყურება უადგილოდ, მიშენებული აივნის ქვეშ ისე გადავირბინე, გული ამომივარდა. ხოდა, გავხსენი ჩანთა და ამოვალაგე, ზემოთ და მაღლა ყურებით ნაყიდი მიმჩრალი, ალაგ დაჭიანებული ვაშლი, სანახევროდ გადასაყრელი კარტოფილი და ყუამოტეხილი პური. სამაგიეროდ გადავრჩი, დღესაც გადავრჩი. ბედნიერმა გადავიწერე პირჯვარი.

ყველაზე მეტად მესიჯის დაწერა გამირთულდა, როგორია, დგახარ რომელიმე საჯარო შენობის წინ, ან ფოიეში და მოგდის მესიჯი, ისე უნდა წაიკითხო და პასუხი მიწერო, რომ ჭერს თვალი არ მოაცილო – მიჭირავს თავს ზემოთ ტელეფონი, ცალ თვალს ჭერს არ ვაცილებ, მეორე თვალით მზერას ტელეფონისკენ ვაპარებ.

სულ ზეპირად ვიცი, რომელ ჭერზე რა ლაქაა, სად არის ჭერზე ბათქაში აცილებული, სად საღებავია გადაცლილი.

მეტროსადგურში საერთოდ ვეღარ ჩავდივარ. მეჩქარებოდა ამას წინათ, ვიფიქრე შიშს მოვერევი და მეტროთი წავალ-თქო. 15 წუთი ვიდექი შესასვლელთან, მარჯვენა ფეხს წინ წავდგამდი, მარცხენა უკან მოდიოდა. საერთოდ გადავიფიქრე მერე და სახლში დავბრუნდი. სამაგიეროდ ცოცხალი დავბრუნდი და უვნებელი.





ისეც კი არ იფიქროთ ახლა, რომ სიცოცხლეზე გაგიჟებული ვარ, თავის გატეხვის მეშინია უბრალოდ, კი ამბობენ, სახელის გატეხვას თავის გატეხვა გერჩიოსო, მაგრამ სახელგატეხილები ისე კარგად ცხოვრობენ, თავგატეხილები კიდე მერმა მოინახულა და მორჩა. თან ახალმა მერმა მოინახულა, საყვედურსაც რომ ვერ ეტყვი, იმან, მარტო რომ ეღიმო და თავი უნდა უქნიო, იმიტომ რომ ჯერ ახალია და კარგად გვის – იმან.

ერთხელ, ბავშვობაში, საწერკალამი დავკარგე და მამიდას მოვპარე. მას შემდეგ, როგორც კი მამიდას მორიგე კალამი გაებნეოდა სადმე, არც კი ეძებდა, ისე მთხოვდა მე. ერთხელ ავწაპნე კალამი და ათასი კალამი დავიდე ვალად – სახელი გამიტყდა, კალამთმუსვრელის სახელი მქონდა უკვე გავარდნილი და იმიტომ.

ახლა პირიქითაა, რაც მეტად გაქვს სახელი გატეხილი, მით მეტი სახელი გაქვს, მით მეტ გადაცემებში გიწვევენ, მით მეტ ხელფასს გინიშნავენ, მით უფრო რჩევასაკითხავი ადამიანი ხდები, მით უფრო მაღალ თანამდებობაზე გნიშნავენ.

ნარმანია გამონაკლისია – მეტიც, ნარმანია იშვიათი გამონაკლისია, მოახერხა და სახელიც გაიტეხა და თავიც. ბედმა არ დააყენა არჩევანის წინაშე – სახელის გატეხვა სჯობს თუ თავისო, ორივე დააფერთხა. ბედიც ამას ჰქვია.

სასწაულები მაშინ ხდება, როცა არ ელოდები. მე რომ არ ველოდები, თორემ სახელგატეხილებმა სულ წინდაწინ იციან რა და როგორ მოხდება. ხოდა, ვდგავარ გაჩერებაზე, ცას აჩერებული ველოდები ავტობუსს, ტაბლო ისევ გაფუჭებულია, სამაგიეროდ მაღალზეა ტაბლო და ცისთვის თვალისმოუშორებლად შემიძლია ავხედო. ხოდა, ღრუბლებიდან თითქოს რაღაც დამიქნიეს, ვერ მივხვდი ხელია, თუ...? ჩავაშტერდი, ვიღას ახსოვს ავტობუსი, დავძაბე მხედველობა, ვფიქრობ: – კაცია თუ „კარმანია“? არც კაცი, არც „კარმანია“, ნარმანიაა, ნარმანია. კი, ნამდვილად, მხოლოდ ნარმანიას შეუძლია ერთი გამომეტყველებით ღიმილიც განასახიეროს და გაკვირვებაც, წარბიც შეჭმუხნოს და ტუჩებიც გახსნას, ბავშვივით უმწიკვლო მზერით გიყუროს და თავი გაგიტეხოს.

გამიღიმა და თითი დამიქნია – აი, ისე, ციც – ო, რომ დაემუქრები ცელქ ბავშვს.

მაინც გამიტეხავს თავს, ვგრძნობ. მე მითქვამს და...

ასეა, ზემოთაც კი კარგები – კარგად სახელგატეხილები უნდათ.

რა ტყუილად მეჩხუბა მამიდა იმ კალმისთვის – ახლა შეიძლებოდა მეც ზემოთ ვყოფილიყავი, მეც ყალბი გამომეტყველება და მაღალი ხელფასი მქონოდა, მეც შემძლებოდა თითი დამექნია ავტობუსის მომლოდინე გოგოსთვის, რომელიც თავის გატეხვას არ მანებებს და – ციც, დამეძახა.

საშიშები არიან სახელგატეხილები, ძალიან საშიშები, დასაკარგი აღარაფერი აქვთ და ყველაფერზე წავლენ, რომ თავები დაგვილეწონ.

მაინც ვერ გავიგე რა კაცია ყოფილი მერი, მაინც ვერ გავიგე ნარმანია „კარმანია“, თუ „კარმანია“ ნარმანია. ყველას ჯიბეში ეტევა ეს კაცი და ყველა ეტევა ამის ჯიბეში, სულ გახსნილი აქვს ამ კაცს საფულე, ოღონდ ფულს არასოდეს იღებს, მხოლოდ შენახვითაა დაკავებული – ჭერზეც რომ ეკონომიას გააკეთებ კაცი, ბათქაშზეც რომ ეკონომიას გააკეთებ.

არ არის ჩემი ბრალიო – ჩამომძახა წკრიალა ხმით და ორაზროვანი, გაურკვეველი ღიმილი თ.

მგონი უნდა, რომ მე დავიბრალო.

იქნებ სახლში ბათქაში და ჭერის ნატეხებიც ჩამიდოს.

დავიბრალებდი, მაგრამ არ შემიძლია. დედას ვფიცავარ, არ შემიძლია. არ შემიძლია სახელგატეხილობა და დიდი ხელფასები, არ შემიძლია ეს ბომონდი და „სვეცკობა“, არ შემიძლია, ღიმილი გამიხდება ორაზროვანი და შვილი ვერ მიცნობს, არ შემიძლია კლასიკურად ჩაცმა და ღირებულებებზე საუბარი, მაშინ როცა ნახევარ მეტრ ჭერს და ნახევარ კილო ბათქაშს ვიპარავ, მერე ეს ნახევარი მეტრი ჭერი და ნახევარი კილო ბათქაში უნდა გავყიდო და ვაჭრობა არ გამომდის – არ შემიძლია. არ შემიძლია ჯიპით სიარული, დანგრეულ ავტობუსს ვარ მიჩვეული, არ შემიძლია ფულის თვლა და დაუთვლელად შენახვაც არ შემიძლია – მართლა ვერ დავიბრალებ, მაგის გამო ნუ დამსჯი, შემარჩინე გაუტეხელი თავი.

კი არ მეზარება, არ შემიძლია, თორემ თავის გატეხვის ისე მეშინია, დავიბრალებდი ვარკეთილის მეტროს ჭერის მოპარვას მე, გავიტეხავდი სახელს და გადავიდოდი საჯარო სამსახურში ან პოლიტიკაში.

მაინც არ არის ჩემი ბრალიო – ჩამომძახა ნარმანიამ. იქნებ მართლა უდანაშაულოა ეს კაცი, იქნებ საკუთარი სახსრებით და საკუთარი სურვილით შეაკეთეს ვიღაცვაი ხელოსნებმა ის ჭერი, ჰა?

ყველაზე ცუდი იცით რა არის? მე კი დავდივარ მაღლა და ზემოთ თვალაპყრობილი თავის გატეხვის შიშით, მე კი ვურთხილდები თავს, მაგრამ არც სხეულის სხვა ნაწილები მაქვს გადასაგდები, ზოგან გზა დააგო ამ კაცმა და როდის გამომეცლება ფეხქვეშ ვინ იცის, ზოგან კანალიზაციაც გაიყვანა და როდის მოვადენ ზღართანს სახელგატეხილების აფუმფულებულ განავალში არავინ იცის. მაგრამ, გაგიკვირდებათ და ფუმფულა განავალში ჩავარდნაზე უფრო საშიში რამეც არსებობს – ამ კაცმა ხეებიც ხომ დარგო? ნეტა სად და რამდენი? ნეტა რომელი და როგორი? თუ გავიღვიძე ერთ დილით ხის კენწეროზე, ნაძვის ხის თავზე ჩამოცმული სათამაშოსავით დარჭობილმა, პიჟამოთი, მერე ნახეთ.

ღმერთო, გვესროლე „ტაბურეტკა“ – ღირსეულად შეცვალა გამოთქმამ: ნარმანია – გვესროლე ჭერი! მეტის ღირსნი ვართ, გვესროლე ჭერი და გვესროლე გზა, გვესროლე ხე და გვესროლე კანალიზაცია. კიდევ კარგი მტკვარის გაწმენდა გადაიფიქრა, თორემ რა აიცილებდა ამხელა მდინარეს. კიდევ კარგი, ზოოპარკის ადგილას დაანონსებული მთავარი პარკის მშენებლობაც გადაიფიქრა, თორემ, რა დაიჭერდა მოცურებულ ატრაქციონებს, კიდევ კარგი, უმუშევრობის შემცირებაც გადაიფიქრა, თორემ ახლა ნამუშევარი თავგატეხილი ვიქნებოდი.

ილოცე ძილის წინ, ნარმანია! – არა, ეს მუქარა არაა, დაპირებაა.

ერთი ანეგდოტი მაინც გამახსენდა:

ცოლი ქმარს აღვიძებს ღამის 4 საათზე:

- რამდენი გაქვს ხელფასი?

- რა დროს ეგაა, ქალო?

- არა, მითხარი რამდენი გაქვს ხელფასი?

- ხომ იცი რამდენიც მაქვს, დამაძინე.

- არა, მითხარი, გთხოვ.

- 250 ლარი.

- რა გაძინებს მერე, რა ჯანდაბა გაძინებს ასეთი ხელფასით???

ჩემს ნარმანიას „კარმანში“ 13 ათასი ლარი ჩაუცურდება ყველა თვეში. რაც იმას ნიშნავს, რომ არასოდეს გაალღვიძებენ შუაღამისას კითხვით: – რამდენი გაქვს ხელფასი?

და მაინც, არ დაგავიწყდეს, ილოცე ძილის წინ, ნარმანია!

555 46 08 04

# „ფარმაცევტული სახლი+“ ფარმაცევტულ კომპანია „სალხინოს“ მიზანმიმართულად ანადგურებს

**„ფარმაცევტული სახლი+“-ის** ხელმძღვანელობამ უსაფუძვლო მიზეზით ფარმაცევტულ წარმოება „სალხინოს“ 2013 წელს სასამართლოში უჩივლა, 300 000 დოლარად ღირებული ქონება დააყადაღა და 185 163.83 ლარის გადახდა მოითხოვა.

საკამათო არ არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ „ფარმაცევტული სახლი+“-ის დამფუძნებლებმა სასამართლოს გამოყენებით ხაფანგი დაუგეს ფარმაცევტულ წარმოება შ.პ.ს „სალხინოს“ და დაბლოკეს წამალ „სალხინოს“ სხვადასხვა ქვეყნების სამედიცინო პრაქტიკაში ფართო მასშტაბით დანერგვა.





დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ სასამართლო გამოიყენეს ჩვენთვის ფულის, კერძოდ, 185 163 ლარის გამოძალვისთვის, ვინაიდან, სასამართლოს გამოყენებით თავადვე დაბლოკეს ყველა ის წინაპირობა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევდა წარმატებული ბიზნესი გვეკეთებინა, თანაც იმ პერიოდში, როცა წამალი უკვე დარეგისტრირებული იყო უკრაინისა და სომხეთის ჯანმრთელობის სამინისტროების მიერ და ვაპირებდით პროდუქციის გატანას ამ ქვეყნებში. ამ ყველაფრის მომზადებაში კი საკმაოდ სოლიდური თანხა გვქონდა დახარჯული.

**„ფარმაცევტული სახლი+“-ის** დამფუძნებლებისთვის ცნობილი იყო, რომ დიდი ხარჯები გვქონდა გაწეული და უკვე ჩატარებული იყო წინასწარი კვლევა ს.ს. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, როგორც წამალი **„ფერდის“**, ისე წამალი **„სალხინოს“** ეფექტურობის შესწავლის მიზნით, ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმით დაავადებულ პაციენტებში. დადგენილი იყო, რომ წამლების არსებული ნომენკლატურისგან განსხვავებით **„სალხინო“** და **„ფერდი“** გამოირჩეოდა განსაკუთრებული სამკურნალო ეფექტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის რეკომენდაციით, შესწავლილი იქნა **„სალხინოს“** და **„ფერდის“** ერთდროულად გამოყენების წინასწარი კვლევა და დადგინდა, რომ **რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებზე წამლები დადებითად მოქმედებს და იწვევს მათ გაუმჯობესებას 65%–ით, განსხვავებით პრეპარატების ცალ-ცალკე გამოყენებისას, სადაც ეს მაჩვენებელი 45%-55%-ია.**

აქედან გამომდინარე, საჭირო იყო კვლევის გაგრძელება საბოლოო შედეგების მისაღებად, თუ რომელ სტადიაში შეიძლებოდა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების განკურნება წამალ **„სალხინოსა“** და წამალ **„ფერდის“** კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში. **თუმცა „ფარმაცევტული სახლი+“-ის მიერ დაგებულმა ხაფანგმა ჩვენი ყველა გეგმა ჩაშალა და არსებობს უტყუარი მტკიცებულებები იმისა, რომ მილიონობით ლარის ეკონომიკური და მორალური ზიანი მოგვაყენა.**

მათ არაერთხელ ვთხოვეთ არ დაეყადაღებინათ ჩვენთვის უძრავი ქონება, ვინაიდან, ამ ქონების გაყიდვას და აღებული თანხის საქმისთვის გამოყენებას ვაპირებდით. მათ არც ერთი ჩვენი შეთავაზება და თხოვნა არ გაითვალისწინეს, მიუხედავად იმისა, რომ თავადვე რჩებოდნენ მოგებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ ამ ყველაფერში საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის ხელი ურევია.

ვფიქრობთ, რომ **„ფარმაცევტული სახლი+“-ის** დამფუძნებლები ვიღაცამ წააქალისა, დაებლოკა ფარმაცევტული კომპანია „სალხინოს“ მიერ წარმოებული მედიკამენტების მიმოქცევა ბაზარზე და ამ ყველაფრისთვის გამოეყენებინა სასამართლო. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ მათ სასამართლო მცდარი მტკიცებულებებით დაარწმუნეს იმაში, თითქოს პროდუქციის საფასური 300 000 ლარზე მეტი ჰქონდათ გადმორიცხული, მაგრამ ითხოვდნენ 185 063.83 ლარის თანხის დაბრუნებას.

ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე (რომელიც საეჭვო მტკიცებულებაა და ნებისმიერ დროს შეიძლება მისი გადამოწმება) პირდაპირ თუ მოითხოვდნენ იმ თანხას, რაც აქტშია მითითებული – 185 063.83 ლარი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო არ გაითვალისწინებდა თანხის მოთხოვნას. 2014 წლის მდგომარეობით 300 000 დოლარად შეფასებულ შ.პ.ს „სალხინოს“ ქონებას ყადაღას დაადებდა. განიხილავდა ამ საქმეს დეტალურად და დიდი დიდი დაგვაკისრებდა პროდუქციის მიწოდებას.

მართალია, ჩვენ მათ მიმართ დავალიანება არ გაგვაჩნია, მაგრამ საქმეს არ გავაფუჭებდით და პროდუქციას მივაწოდებდით (ხაფანგს არ დავაგებინებდით!). ისინი ამ პროდუქციის რეალიზაციას მოახდენდნენ და სოლიდურ თანხას უპრობლემოდ წაგვართმევდნენ.

ჩვენ კი ჩვენს წამლებს ფართოდ დავნერგავდით სამედიცინო პრაქტიკაში და მრავალი ადამიანის შელახულ ჯანმრთელობას დავუბრუნებდით ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ეს უკანასკნელი კი გასაგები მიზეზების გამო ნამდვილად არ აწყობდათ.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენს მიერ წარმოებულ წამლებით მყარად ვიკიდებდით ფეხს ფარმაცევტულ ბაზარზე, მოწინააღმდეგე მხარე ჩვენს ზურგს უკან ადგენდა მზაკვრულ გეგმას, რომელიც ამოუხსნელ ამოცანად დარჩება მანამ, სანამ კანონის ფარგლებში დამნაშავეები პასუხს არ აგებენ.

„საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებების, ასევევ სალაროს შემოსავლის ორდერების მიხედვით, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მოსარჩელემ მოსარგებლეს გადასცა თანხა 1296 497 ლარის ოდენობით, ხოლო, 2010 წლიდან 897 847 ლარის ოდენობით, სასაქონლო ზედნადებების შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით სულ მიაწოდა 672 624 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქცია. ამდენად, არც მხარის მიერ წარმოდგენილი ურთიერთშედარების აქტების და არც სხვა სახის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება მოსარჩელის მიერ მოპასუხის მოტყუების ფაქტი“, – ნათქვამია პირველი ინსტანციის სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაში.

ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი ეხებოდა „ფარმაცევტული სახლი+“-ის მხრიდან 2010 წლიდან 897 847 ლარის გადაცემის ფაქტს, აქედან კი 225 223 ლარი ტყუილი იყო. სინამდვილეში, 2010 წლიდან 672 624 ლარის გარდა არ ჰქონია ადგილი დარჩენილი თანხის 225 223 ლარის გადმოცემას და შესაბამისად, ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს. მათ საქმის გასაყალბებლად და სასამართლოს მოტყუების მიზნით გამოიყენეს ყალბი ქვითრები.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 2009 წლიდან 1296 497 ლარის გადმოცემა და აგრეთვე ყალბი ქვითრები, 1296 497 ლარის ნაცვლად დაადგინა, რომ მხარეთა ურთიერთობების სრული ეტაპის განმავლობაში გადმოცემულია 1009 960 ლარი. გამოგონილმა ტყუილმა და შედარების აქტმა, რომელიც ერთადერთ მტკიცებულებადაა წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვია შეკერილიყო 600 გვერდიანი საქმე, „სალხინო“ განადგურების პირას მიეყვანათ და ეს საქმე წლების მანძილზე სასამართლოებში დავის საგანი გამხდარიყო.

თუ ვიხელმძღვანელებთ მეცნიერებაში არსებული ყველაზე ზუსტი მათემატიკური გამოანგარიშებით, დავრწმუნდებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით, შ.პ.ს „სალხინო“-ს უფრო მეტი ღირებულების პროდუქცია აქვს მიწოდებული „ფარმაცევტული სახლი+“-ისთვის, ვიდრე ამ უკანასკნელის მხრიდან შ.პ.ს „სალხინო“-სთვის გადახდილი თანხაა.

აუდიტორიულმა სამსახურმა შეისწავლა სრული დოკუმენტაცია და დაადასტურა, რომ ჩვენ მათთვის 55 074 ლარით მეტი ღირებულების პროდუქცია გვაქვს მიწოდებული, ვიდრე თანხა აქვთ გადმოცემული. შესაბამისად, მათ ჩვენთვის მოსაცემი აქვთ 55 074 ლარი.

ფაქტია, რომ „ფარმაცევრტული სახლი+“-ის დამფუძნებლები მოქმედებენ პრინციპით: „გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო“.

სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ დაგვადანაშაულა 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომისას მასზედ, რომ ჩვენ იმ მომენტისთვის არ გვქონდა 2009 წლის პროდუქციის მიწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები, ხოლო, ჩვენი მხრიდან ზედნადებების არქონის მიზეზი იყო ის, რომ საქმე ეხებოდა 2010–2013 წლებში არსებული დავალიანებისთვის დავას და არ მივიჩნიეთ საჭიროდ 8 წლით დაძველლებული ზედნადებების სასამართლოზე წარდგენა.

**„ფარმაცევტული სახლი+“**-ის წარმომადგენლებმა შეძლეს მოეტყუებინათ სასამართლო, რომ არ არსებობდა 2010 წლამდე სასაქონლო ზედნადებები და შესაბამისად, ჩვენ მათთვის ასიათასობით ლარის პროდუქცია გვაქვს მისაწოდებელი. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მსჯელობა და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის 2015 წლის 20 მარტის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანი იყო 2010 წლიდან 897847 ლარის გადმოცემა და აქედან 225223 ლარი იყო სადაო, ბუნებრივია საქმეში არ იყო 2010 წლამდე არსებული საქონლის მიწოდების დამადასტურებელი ზედნადებები. ჩვენ კი დარწმულებულები ვიყავით, რომ სასამართლო განიხილავდა ჩვენს საჩივარს, რისთვისაც ბაჟის სახით გადახდილი გვქონდა 7000 ლარი, დაადგენდა სიყალბეს და ბათილად ცნობდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას.

**„ფარმაცევტული სახლი +“**-ის მიერ ინიცირებული საჩივრით გამოწვეული დავა რომ უსაფუძვლოა და გამოგონებული, ამის მრავალი მტკიცებულება არსებობს, თუნდაც ის ფაქტი, თუ როგორ არწმუნებდა სასამართლო პროცესზე იონა (დათო) ქობულია მოსამართლეებს ჩვენს უმადურობაში. თურმე მათ ჩვენთვის გადმორიცხული აქვთ 350 00 ლარამდე თანხა და მხოლოდ 185 063.83 ლარის უკან დაბრუნებას ითხოვენ. ამას ისეთი პროფესიონალიზმით აკეთებდა, რომ მსოფლიოში ნებისმიერ თაღლითს შეშურდებოდა.

როცა ასეთ რისკზე მიდიან და წლების მანძილზე გიფუჭებენ უკვე აწყობილ საქმეს, დავრწმუნდი, რომ მომპარეს სასაქონლო ზედნადებები და ამით ახალ გზას მიაგნეს ჩვენი წამებისთვის. დავრწმუნდი იმაში, რომ წყალში გვეყრებოდა მრავალწლიანი შრომა, რომელიც გავწიეთ წამლების სამედიცინო კვლევებში ლიცენზიების მოპოვების კუთხით და აქედან გამომდინარე, უაზროდ მომეჩვენა რამე სხვა საკითხზე მსჯელობა. მწყობრიდან რომ არ გამოვსულიყავი, დავტოვე სასამართლო სხდომა და წავედი იმის სანახავად, ადგილზე იყო თუ არა ზედნადებები.

2009 წლის საქაღალდეში არც ერთი ზედნადები არ იყო. ამან უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ამ დროს ბუღალტერი გვიმტკიცებს, რომ 391760 ლარის პროდუქციის მიწოდება მტკიცდება და თუ ვერ ვნახეთ ეს ზედნადებები “ფარმაცევტულ სახლი+“-ს ექნება და გამოვართმევდით. ეს ფაქტი მათ სასამართლოს დაუმალეს და ჩვენ რას მოგვცემდნენ. გაირკვა, რომ ადვოკატის მოთხოვნით, ყველა ზედნადები, რომელიც ადასტურებდა მომჩივანისთვის პროდუქციის მიწოდებას, იქნა ბუღალტერიიდან ამოღებული, მაგრამ რადგან პირველ ინსტანციაში 2010 წლიდან იყო დავა, ადვოკატმა სასამართლოში წარსადგენად წაიღო მხოლოდ 2010 წლის შემდეგ არსებული ზედნადებები, ხოლო, დანარჩენი თანამშრომელმა სხვა საქაღალდეში შეცდომით შეინახა და დიდი ხნის ძებნის შემდეგ აღმოვაჩინეთ.

რადგან სააპელაციო სასამართლოს მიერ წარდგენილი ციფრი 333 686 ლარის გაანგარიშებისას არ იქნა გათვალისწინებული 2010 წლამდე მიწოდებული და კლიენტის მიერ დადასტურებული სასაქონლო ზედნადებები 391760 ლარზე სწორი ბუღალტრული გაანგარიშების აუცილებლობისთვის საჭიროა აღნიშნული ციფრის ჩართვა ანგარიშში. შესაბამისად, დადგინდება, რომ 391760–336 686= 55 074, რაც იმის დასტურია, რომ **„ფარმაცევტული სახლი +“**-ის დამფუძნებლებს შპს **„სალხინო“**-სი 55 074 ლარის დავალიანება გააჩნიათ.

აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ყოველივე აღნიშნული დაგეგმილია პროფესიონალი სამართალმცოდნეების მიერ, რომლებმაც ყველაფერი გათვალეს იმისთვის, რომ სასამართლო პროცესები წლების მანძილზე გაგრძელდეს და შპს „სალხინო“ საბოლოოდ გაანადგურონ.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება და საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქმე დაუბრუნდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს, დარწმუნებული ვართ, რომ კანონის ფარგლებშიც ფაქტობრივი გარემოება დადგინდება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის მტკიცებულებები შპს „სალხინო“-ს გააჩნია და მზადაა წარუდგინოს ყველას, ვინც ამას მოითხოვს.

**რონ ნაჭყებია,**
**ფარმაცევტული კომპანია „სალხინო“-ს გენერალური დირექტორი**

# ღვინოთერაპია

**„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბრებს ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის და ამერიკის ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილ წევრთან, პროფესორ რამაზ გახოკიძესთან. ამჯერად, ბატონი რამაზი ღვინით მკურნალობის შესახებ გვესაუბრება:**

ღვინო ორგანიზმისთვის აუცილებელ ნივთიერებებს შეიცავს. **საფრანგეთში, სადაც ღვინის მოხმარების კულტურა საკმაოდ განვითარებულია, სიცოცხლის ხანგრძლივობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია.** გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა ფრანგებში ამერიკელებთან შედარებით ორნახევარჯერ ნაკლებია. ექიმები დიდხანს ფიქრობდნენ: რატომ არის ბევრად დაბალი გულსისხლძარღვთა დაავადებების დონე საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში, ვიდრე მეზობელ ევროპულ ქვეყნებში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს წითელი ღვინის დამსახურებაა. მეც საუბარს წითელი ღვინოების სარგებლიანობით დავიწყებ.





## წითელი ღვინო, მრავალ დაავადებათა მკურნალი

ითვლება რომ წითელი მშრალი ღვინო, რესვერატროლის მაღალი შემცველობის გამო, უფრო სასარგებლოა, ვიდრე თეთრი მშრალი ღვინო. წითელი ღვინო, ანტიოქსიდანტების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის და რადიაციული დაზიანების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება. იგი, ასევე, ზრდის კიბოს თერაპიის ეფექტიანობას. ამერიკელი მეცნიერების რჩევით, მკერდის კიბოთი დაავადებულმა ქალებმა, რომლებიც ქიმიოთერაპიას გადიან დღეში ორ ბოთლამდე წითელი ღვინო უნდა მიიღონ. მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველდღიურად ერთი ჭიქა წითელი ღვინის დალევით შესაძლებელია წინამდებარე ჯირკვლის კიბოს რისკის ორჯერ შემცირება. წითელი ღვინო მწეველთა ფილტვების კიბოს პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალებაა. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რესვერატროლი და ასპირინი კიბოს უჯრედებს ჩანასახშივე ანადგურებს. წითელი ღვინო კარგია წყლულის დროსაც. მასში შემავალი მთრიმლავი ნივთიერებები ხელს უწყობს წყლულის სწრაფად შეხორცებას. წითელი მშრალი ღვინის მოხმარებას შეუძლია სმენის დაკარგვის თავიდან აცილება. წითელი ღვინო იცავს კბილების ემალს, მის რეგულარულად მომხმარებლებს ნაკლებად ემართებათ კარიესი. წითელი ღვინის მცირე რაოდენობა ამცირებს თირკმელებში ქვების წარმოქმნის რისკს. წითელი ღვინო ადუნებს და ამშვიდებს, გვეხმარება გადაღლასთან ბრძოლაში. მისი მეშვეობით სწრაფად შეიძლება დაწეული ჰემოგლობინის, ასევე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძალების აღდგენა. დასუსტებული ორგანიზმის აღსადგენად სასარგებლოა გლინტვეინის მიღება, რომლის დამზადება შესაძლებელია შემდეგი რეცეპტურით: ქვაბში ათავსებენ ათ მიხაკს, დაფქვილ მუსკატის კაკალს და დარიჩინს (შეიძლება ხილის ნაჭრების დამატებაც) ასხამენ მინიმალური რაოდენობის წყალს და ხარშავენ ნელ ცეცხლზე ათი წუთის განმავლობაში. ნახარშს აყოვნებენ გაცივებამდე. ერთ ბოთლ წითელ ღვინოს ათბობენ ქვაბში (არ ადუღებენ) და უმატებენ საკმაზს და ოთხ კოვზ თაფლს. სვამენ ბოკალებით ან ფაიფურის ფიალებით. უხდება ფხვიერი ნამცხვრები.

პროსტატის კიბოს დაავადების დაბალი დონეა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სადაც ბევრ ბოსტნეულს, ხილს და ცოტა ხორცს ჭამენ, ხოლო წითელ ღვინოს სვამენ, როგორც მინიმუმ, ორჯერ მეტს, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპაში. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ 45-დან 69 წლამდე 80 ათას მამაკაცზე ჩატარებული დაკვირვებით დადგენილია, რომ მწეველები რომლებიც დღეში მინიმუმ ერთ ბოკალ წითელ ღვინოს სვამდნენ, ორჯერ უფრო იშვიათად ავადდებოდნენ კიბოთი, ვიდრე მწეველები რომლებიც ღვინოს საერთოდ არ სვამდნენ. აღსანიშნავია, რომ დადებითი ეფექტი მხოლოდ წითელ ღვინოს ჰქონდა. თეთრს ანალოგიური თვისებები არ აღმოაჩნდა.

ყოველდღიურად 50 გრამი ცხელი წითელი ღვინის მიღებით წარმატებით შეიძლება ტუბერკულოზის მკურნალობა; გაციებასთან, პნევმონიასთან, გრიპთან, ბრონქიტთან საბრძოლველად კარგია წყლით განზავებული თბილი წითელი ღვინო (50 გრამი 3-ჯერ დღეში) ან ცხელი წითელი ღვინო შაქრით ან თაფლით; წითელი ღვინო, სასურველია განზავებული, სპობს ხოლერის, პოლიომიელიტის, კოკსაკის, ჰერპერ-ვირუსებს; ფაღარათის დროს, შემკვრელი და ანტისეპტიკური თვისებების გამო, რეკომენდებულია 50 გრამი ცივი წითელი ღვინის დალევა 3-ჯერ დღეში; უძილობისას მიიღეთ ტკბილი ან ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო ძილის წინ; დაჟეჟილის სწრაფად აღსადგენად და ტკივილის მოსახსნელად რეკომენდებულია ცივი წითელი ღვინის კომპრესები. ამგვარად, წითელი ღვინის ორი ბოკალი შესანიშნავი საშუალებაა მთელი რიგი დაავადებების პროფილაქტიკისთვის. წითელი ღვინო არა მარტო ახანგრძლივებს სიცოცხლეს, არამედ ადამიანს იცავს გულის პრობლემებისგან, კიბოსგან, დიაბეტისგან, ალცჰაიმერის დაავადებებისგან და ა.შ.

თეთრი ღვინის დიდი რაოდენობით მიღება არღვევს ღვიძლის, თირკმლების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ძირითად ფუნქციებს და იწვევს ფსიქიკურ დარღვევებს. ასეთი ღვინის მიღება არ შეიძლება დიაბეტის, ნიკრისის ქარის, ღვიძლის და თირკმლების ქრონიკული დაავადებების შემთხვევებში.

## ღვინო ონკოლოგიური დაავადებების რისკს ამცირებს!

ღვინის ზომიერი მოხმარება გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილის ალბათობას ამცირებს 40%-ით, ხოლო ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილიანობას – 20%-ით. წითელი ღვინო შეიცავს 600-ზე მეტ ქიმიურ ნივთიერებას, მათ შორის, აღსანიშნავია ნახშირწყლები, ვიტამინები, მჟავები, მიკრო და მაკრო ელემენტები. წითელ ღვინოში აღმოჩენილია სიცოცხლისთვის აუცილებელი ყველა ამინმჟავა. ღვინის ზომიერად მიღება სისხლში „კარგი“ ქოლესტერინის (მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები) შემცველობას ზრდის და ორგანიზმიდან „ცუდი“ ქოლესტერინი (დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები) გამოაქვს, რითაც ორგანიზმს იცავს ინსულტისა და ინფარქტისაგან. ქოლესტერინი რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, უჯრედების შექმნაში მონაწილეობს, მის გარეშე ორგანიზმს არ შეუძლია D ვიტამინის, სასქესო ჰორმონების წარმოქმნა. იგი აუცილებელია სეროტონინის (სიხარულის ჰორმონის) გამოსამუშავებლად, რაც კარგ განწყობას იწვევს. მისი ნაკლებობით ვითარდება დეპრესია და სუიციდისადმი მიდრეკილება. ამერიკელებმა სენსაციური კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს, რომლის თანახმად ადამიანები რომლებსაც გადაჭარბებული მკურნალობით მინიმუმამდე დაუყვანეს ქოლესტერინის დონე, ყველაზე ხშირად ვარდებოდნენ დეპრესიაში და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. ათეროსკლეროზისა და გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკი მჭიდროდ არის დაკავშირებული „ცუდ“ ქოლესტერინთან, ვიდრე საერთო ქოლესტერინთან. „კარგი“ ქოლესტერინი ახორციელებს ცხიმების, მათ შორის, საერთო ქოლესტერინის გადატანას ერთი უჯრედიდან მეორეში, მაგალითად, სისხლძარღვებიდან, გულის კუნთიდან, ტვინის არტერიებიდან და სხვა პერიფერიული ორგანოებიდან – ღვიძლში, სადაც ქოლესტერინიდან წარმოიქმნება ნაღველი.

## ღვინო – დაორსულებაში დაგეხმარებათ?!

ქალები რომლებიც ზომიერად სვამენ ღვინოს, უფრო სწრაფად ორსულდებიან, რადგან ღვინო გავლენას ახდენს რეპროდუქციულ ფუნქციაზე. ყოველდღიურად 200მლ ღვინო ქალს იცავს გულსისხლძარღვთა დაავადებათა რისკისგან, ვენების ვარიკოზული გაგანიერებისგან და ანელებს დაბერების პროცესს. შვედი მეცნიერების მიერ 40 წლის განმავლობაში 1500 ქალზე ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ ქალებში, რომლებიც პერიოდულად მოიხმარდნენ ალკოჰოლს, ასაკობრივი ჭკუასუსტობის შემთხვევები, პრაქტიკულად, არ გვხვდება.

## ღვინის რეგულარული მიღება ეპიდემიისგან დაგიცავთ!

ღვინოს ახასიათებს გამოკვეთილი ანტიბაქტერიული, ასევე, კიბოს და შაქრიანი დიაბეტის საწინააღმდეგო თვისებები, აფართოვებს სისხლძარღვებს და აქვეითებს წნევას, დაბერებისგან იცავს თვალის ბადურას, აუმჯობესებს სისხლს. ეპიდემიების დროს იმ ადამიანთა შორის, რომლებიც რეგულარულად იღებენ ღვინოს, სიკვდილიანობა ბევრად დაბალია. ღვინო ანადგურებს ტუბერკულოზის, ხოლერის, მალარიის და ა.შ. გამომწვევ მიკრობებს. იგივე ეფექტს იძლევა ორჯერ წყლით განზავებული ღვინოც. მშრალი, სუფთა ღვინო კარგად კლავს წყურვილს. ნატურალური ღვინო სასარგებლოა გაციების და ქრონიკული დაავადებების (გრიპი, ბრონქიტი, ფილტვების ანთება და სხვა) დროს. ამ დროს სასურველია მიიღოთ გლინტვეინი და ცხელი წითელი ღვინო სანელებლებთან და შაქართან ერთად. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს სასარგებლოა მთრიმლავ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის მქონე წითელი ღვინოები. ასეთი ღვინოები ავლენს შემახორცებელ მოქმედებას კუჭის წყლულის და ნაწიბურების შემთხვევებში. გარდა ამისა, ღვინოს ორგანიზმიდან გამოყავს წიდები და ტოქსინები. იგი აძლიერებს იმუნიტეტს, ზრდის ინფექციური დაავადებებისადმი გამძლეობას. დანიელი მეცნიერების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დღეში ორ ბოკალ ღვინოს შეუძლია გრიპის ხუთი ნაირსახეობის დამარცხება. ფრანგი მეცნიერების დაკვირვებით, ჭამის დროს, დღეში ორი-სამი ბოკალი ღვინის მიღება აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ავლენს მატონიზებელ ეფექტს, ანტიბაქტერიულ თვისებებს.

## თუ უმადობა გაწუხებთ, შამპანური მიირთვით!

ნერვული სისტემის მოშლის შემთხვევაში კარგია გაცივებული მშრალი შამპანური. ცივი შამპანურით შეიძლება განუწყვეტელი გულისრევის შეჩერებაც. შამპანური, ასევე, ციებისა და ტუბერკულოზის დაავადებათა დროს აძლიერებს მადას და აუმჯობესებს ფილტვების ვენტილაციას სასუნთქი ცენტრის აგზნებით. იგი ასევე კარგია ხოლერის და სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში. მსუბუქი ღვინოები (განსაკუთრებით შამპანურის ღვინოები) ამაგრებენ დასუსტებული გულის მუშაობას. მავნებელია შამპანურის უზომოზე დალევა, რადგან იწვევს მჟავიანობის მომატებას და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გაღიზიანებას. ფრანგმა პარფიუმერებმა სახის კრემში შამპანურის დამატება დაიწყეს, რადგან მასში შემავალ პოლიფენოლებს შეუძლია კანის გაახალგაზრდავება და კოსმეტიკაში გამოყენებული ბოტოქსის შეცვლა.

## ღვინო არტერიული წნევის მტერი – მითი თუ რეალობა?

ბევრი ფიქრობს, რომ ღვინის მოხმარება იწვევს არტერიული წნევის მომატებას. წნევის აწევა მხოლოდ იმ პირებს აღენიშნებათ, რომლებიც ყოველდღე სამ ბოკალზე მეტ ღვინოს სვამენ. ისინი, ვინც ღვინოს არ სვამენ, 40%-ით უფრო მაღალი წნევა აქვთ, ვიდრე მათ, ვინც ღვინოს ზომიერად მოიხმარენ. ღვინოს სარგებლობა მხოლოდ მაშინ მოაქვს, როცა ზომიერად მიიღებ. ნახევარ ლიტრზე მეტი ღვინის (ქალებისთვის ამის ნახევრის) ყოველდღიურად მიღებას შეუძლია ჯანმრთელობას ზიანი მიაყენოს. ღვინის უზომოდ სმა იწვევს გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ღვიძლის მუშაობის, ფსიქიკის დარღვევას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქსოვილი, რომელიც ტვინში ჩაინერგება

## მეხსიერების დარღვევებთან ბრძოლის ახალი მეთოდები

ამბობენ, ღმერთი გონიერებას ართმევს მას, ვისი დასჯაც სურსო. ეტყობა, ღმერთი პატარა ბავშვივით ჭირვეულია. ეს მეც გამოვცადე – ჩემი მეუღლე ალცჰაიმერის დაავადებისგან იტანჯება, მიუხედავად იმისა, რომ ღვთის წინაშე წმინდაა როგორც კამკამა წყალი. უკვე რამდენი წელია, მეცნიერები ამაოდ იბრძვიან უზენაესთან ადამიანის გონებისა და მეხსიერების გამო, მაგრამ დემენციის დამარცხებას ვერა და ვერ ახერხებენ. თუმცა… ახლახან მეცნიერებმა გამოიგონეს განსაკუთრებული ქსოვილი, რომელსაც ადამიანის ტვინში ნერგავენ. პირველივე ცდის შემდეგ პაციენტებს მეხსიერება გაუუმჯობესდათ. ნუთუ მეცნიერებამ მიაგნო საშუალებას, გადაარჩინოს ადამიანის ტვინი საშინელი და აქამდე განუკურნებელი დაავადებისგან?

გადანერგილი ქსოვილი მოქმედებს გულში გადანერგილი ელექტროკარდიოსტიმულატორის მსგავსად: იგი ელექტრულ პულსატორებს უგზავნის ტვინს და ეხმარება სწორედ მაშინ, როცა ახალი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს, და უმოქმედოდაა, როცა ტვინი ნორმალურად ფუნქციონირებს.

ამ ცდების შესახებ ახლახან გვაცნობა ჟურნალმა Nature Communications. გადანერგილი მასალა



ადამიანის მეხსიერებას აუმჯობესებს 15 პროცენტით (იგულისხმება სიტყვების რაოდენობა). ეს სწორედ იმის ტოლფასია, რასაც ადამიანის ტვინი ალცჰაიმერის დაავადების გამო ორნახევარ წელიწადში კარგავს.

ტვინში იმპლანტაცია ჯერჯერობით ექსპერიმენტის დონეზეა. მკვლევრები ამჟამად მსჯელობენ ამ ტექნოლოგიის შესაძლო კომერციალიზაციაზე. მანამდე კი უცნობია, რამდენად მასობრივი შეიძლება იყოს ეს. საქმე ის არის, რომ იმპლანტაციის მეთოდს მხოლოდ ეპილეფსიით დაავადებულებისთვის იყენებენ.

ექსპერტები გვაფრთხილებენ ამ „მეხსიერების ძრავას“ ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე. მათი თქმით, დამატებითი მეხსიერების 15 პროცენტი არც ისე ბევრია. მით უმეტეს, რომ ტვინში იმპლანტაცია ხელს უწყობს მისი კოგნიტური (აზროვნებითი) ფუნქციის ზრდას.

ექიმები ტვინში მსგავს იმპლანტაციას კარგა ხანია იყენებენ იმისთვის, რომ მასში ნორმალური აქტიურობის აფეთქებები დაბლოკონ. ლაპარაკია პარკინსონითა და ეპილეფსიით დაავადებულებზე. სან დიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის კოგნიტურ მეცნიერებათა დარგის პროფესორი ბრედნი ვოიტეკი ამბობს, რომ ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება დემენციის წინააღმდეგაც.

იმპლანტაცია ეფუძნება მრავალწლიან ცდებს, რომლის დროსაც ხდება ადამიანის ტვინისგან გაგზავნილი სიგნალების კოდებისგან გათავისუფლებას. ახლახან ეს კვლევითი სამუშაო „გაძლიერდა“ 70 მილიონი დოლარით – თანხა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოყო იმ სამხედრო მოსამსახურეების სამკურნალოდ, რომელთაც ერაყისა და ავღანეთის ომებში ტვინი დაუზიანდათ.

მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც პენსილვანიისა და თომას ჯეფერსონის სახელობის უნივერსიტეტების მეცნიერები ხელმძღვანელობენ, გაავრცელა ინფორმაცია, რომ შარშანდელი კვლევების შედეგად დადგინდა კავშირი ელექტრულ პულსაციასა და მეხსიერების აღდგენას შორის. მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელია პენსილვანიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი მაიკლ კაჰანი, რომლის თქმითაც, „ახლა, როცა ეს ინფორმაცია ყუთიდან გამოშვებულია, უკვე შეიძლება სხვადასხვა ნეირომოდულაციური ალგორითმის გამოყენება“.

სხვა მეცნიერი – სან-ფრანცისკოს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ნეიროქირურგი ედვარდ ჩანგი ფიქრობს, რომ „მსგავსი მიდგომების გამოყენება შესაძლებელია სხვა შემთხვევებშიც, მაგალითად, დეპრესიის სიმპტომების მკურნალობისას“.

მკვლევრებმა ახალი მეთოდი მოსინჯეს ეპილეფსიით დაავადებული 25 პაციენტის მეხსიერების დასახმარებლად. თუმცა ისინი გვაფრთხილებენ, რომ ასეთი ექსპერიმენტი არაობიექტურ კვლევას ჰგავს. ექიმები ტვინში ნერგავენ მრავალნაირ ელექტროდს, შემდეგ კი ელოდებიან შეტევის დაწყებას, რომლის შეჩერება შემდგომ ოპერაციული ჩარევით არის შეძლებელი.



ბევრი ელექტროდის იმპლანტანცია ხდება ტვინის იმ ადგილებში, რომლებიც „პასუხს აგებენ“ მეხსიერებაზე.

შედეგებს ხანდახან კვირების განმავლობაში ელოდებიან და პაციენტები იძულებული არიან ეს პერიოდი ჰოსპიტალში გაატარონ. მეცნიერი-კოგნიტივისტები ამ დროს იყენებენ პაცინტთა მეხსიერების ტესტირებისთვის და ამ ტესტების ფირზე ჩასაწერად. პაციენტებს სთავაზობენ დასამახსოვრებელი სიტყვების სიას. შემდეგ სია ნადგურდება, პაციენტები კი შეძლებისდაგვარად იხსენებენ მის შინაარსს. მრავალგზის განმეორებული ტესტების მიმდინარეობისას, ექსპერიმენტში მონაწილეებს ერთი და იგივე სიტყვები როდი ახსენდებათ. როცა ირთვება იმპლანტაცია, პაციენტები, ჩვეულებისამებრ, სწორედ 15 პროცენტით მეტს იმახსოვრებენ.

ტვინში იმპლანტების ჩანერგვის ახალი ტექნოლოგია თავის თავში გარკვეულ რისკსაც მოიცავს და შესაძლებლობებსაც. პროფესორი კაჰანი ამბობს, რომ იმპლანტაციას შეუძლია კიდევ უფრო დრამატულად გააძლიეროს მეხსიერება, თუკი მასში „იჩიჩქნებიან“ და არა მხოლოდ „აწყობენ“.

„დღესდღეობით, იმპლანტაციის არსებული მეთოდი საჭიროებს მრავალრიცხოვანი ელექტროდების ჩანერგვას ტვინის ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად. ლაპარაკია მეტისმეტად დელიკატურ ოპერაციაზე, რომელსაც უნდა მიმართო მხოლოდ ავადმყოფის ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესებისას. ასეთი ჩარევა არ სჭირდებათ აუდიტორიებში მყოფ სტუდენტებს“, – მწარედ ხუმრობს დოქტორი ვოიტეკი და განაგრძობს: „იდეალურ შემთხვევაში შეგვიძლია მივაგნოთ ნაკლებად ინვაზიურ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც ტვინი უდაბლესიდან უმაღლეს ფუნქციურ მდგომარეობაზე გადაერთვება. არ ვიცი, ეს როგორ გავაკეთოთ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევიმუშაოთ ეთიკური და საჯარო პოლიტიკა და ვუპასუხოთ შეკითხვებს, რომლებსაც ჭკუასუსტობასთან ბრძოლის ახალი ტექნოლოგიები აჩენს“.

გზა, როგორც ცნობილია, პირველი ნაბიჯით იწყება. მეცნიერებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯი და ახლა მეორეზე ფიქრობენ. მეორე მხრივ კი, გზა მხოლოდ მოსიარულეს შეუძლია გალიოს. მეცნიერება ვითარდება. მისი შეჭრა ადამიანის ტვინში ეს-ესაა დაიწყო. ვამბობთ ხოლმე – „ღმერთმა მეხსიერება შეგარჩინოსო“, მაგრამ ღმერთი მას მხოლოდ ართმევს და ამით სჯის ადამიანს. მეცნიერება ჩვენი ერთადერთი იმედია.

**მელორ სტურუა**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**- ბუნებრივია, ვიცი, რომ მაქვს თანხის გასესხების უფლება. მე მაინტერესებს, თანხის გასესხებას პროცენტით თუ ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა. ანუ, შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?**

- დიახ, შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი: პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

**- პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?**

- ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში – საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას…

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1-ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექისი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება № 1/5/675,681 – ვებგვერდი, 11.10.2016წ.

1 1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

# ადამიანები, რომლებმაც ისტორიის უდიდესი საიდუმლოებები არ გაამხილეს

**ყველა ადამიანს აქვს თავისი საიდუმლო – მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო, ზოგიერთს კი ისეთი საიდუმლო გააჩნია, რომელსაც მთელი კაცობრიობის ბედის შეცვლა შეუძლია. სწორედ ასეთ ადამიანებზე გიამბობთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოდნა კაცობრიობისთვის უაღრესად საჭირო და ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მათ, სამწუხაროდ, არ გაანდეს ადამიანებს ეს საიდუმლოებები.**

### არნე ბიორლინგი და კოდი T-52-ის საიდუმლო

ყბადაღებული და არაჩვეულებრივი თვისებებით სახელგანთქმული „ენიგმას“ გარდა, არსებობდა დასაშიფრი მანქანის სრულყოფილი მოდელი T-52, რომელსაც ნაცისტები ზესაიდუმლო ინფორმაციის გადასაცემად იყენებდნენ. ზომით ის „ენიგმაზე“ დიდი იყო და უფრო რთულად იყო მოწყობილი. ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთმა ადამიანმა – არნე ბიორლინგმა შეძლო მისი შიფრის გამოცნობა.

1940 წელს შვედეთი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: დასავლეთში ადოლფ ჰიტლერი აწარმოებდა ფართომასშტაბიან დაპყრობით კომპანიას, აღმოსავლეთში კი რუსეთ-ფინეთის ომი მიმდინარეობდა. ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში შვედეთისთვის მნიშვნელოვანი იყო სცოდნოდა მოსალოდნელი მოვლენების მიმდინარეობა, რასაც დაზვერვის საშუალებით ახორციელებდა. თავიდან ამ დასაშიფრი მოწყობილობით მიღებული ინფორმაციის წაკითხვა შეუძლებელი იყო, მაგრამ მათემატიკის პროფესორმა არნე ბიორლინგმა შეძლო T-52-ზე დაბეჭდილი ინფორმაციის გაშიფვრა და კოდიც გამოიცნო. ამის შემდეგ, შვედებმა უკვე წინასწარ იცოდნენ ჰიტლერის გეგმების, მათ შორის, სსრ კავშირზე თავდასხმის შესახებაც. კითხვაზე, როგორ გამოიცნო კოდი, პროფესორი ხუმრობით პასუხობდა, რომ ილუზიონისტი არასოდეს ამხელს თავისი ფოკუზის საიდუმლოს.

1986 წელს არნე ბიორლინგი გარდაიცვალა. მას არავისთვის გაუნდვია საიდუმლო, როგორ გამოიცნო T-52-ის კოდი. მისი გარდაცვალების შემდეგ ვერავინ შეძლო ამის გაკეთება.

### იოჰან ბესლერი და მუდმივი ძრავა

1712 წელს გერმანელმა გამომგონებელმა იოჰან ბესლერმა განაცხადა, რომ მუდმივი ძრავა გამოიგონა. მან ხუთი წლის განმავლობაში რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა და სამეცნიერო ელიტა დაარწმუნა, რომ მისი გამოგონება ნამდვილად ნოვატორული იყო. კონსტრუქცია ორი მეტრის დიამეტრის ბორბალს წარმოადგენდა, რომელსაც რამდენიმ, ე კილოგრამი ტვირთის აწევა შეეძლო. ოფიციალური ექსპერიმენტის კონსპექტში ლაპარაკია 54 დღეზე, რომლის განმავლობაშიც მოწყობილობა ვინმეს ჩარევის გარეშე მუშაობდა. ამ ექსპერიმენტის მოწმეები იყვნენ სახელგანთქმული მატემატიკოსები, მეცნიერები და ფილოსოფოსები და მათგან ვერავინ მიხვდა ამ მოწყობილობის მუშაობის პრინციპს. ბესლერი 20 ათას გირვანქას ითხოვდა საიდუმლოს განდობის სანაცვლოდ.



გამოგონებით ძალიან დაინტერესდა პეტრე პირველი და სთხოვა ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორს ვილჰელმ გრავეზანდს, მათემატიკისა და ასტრონომიის სპეციალისტს, კონსულტაცია გაეწია მისთვის, ვიდრე მუდმივ ძრავს შეძენდა. იოჰან ბესლერმა კი იფიქრა, რომ მისი გამოგონების მოპარვა სურდათ და ის გაანადგურა. ბესლერი ისე გარდაიცვალა, რომ არავისთვის გაუნდვია მისი გამოგონების საიდუმლო, რომელმაც ფიზიკის რამდენიმე არსებულ კანონს უარყოფდა. თანამედროვე მეცნიერები ცდილობენ მისი ჩანაწერების გაშიფვრას და ძრავის ხელახლა აგებას, მაგრამ ამაოდ. არსებობს ვარაუდი, რომ ვესლერი ძალიან ეშმაკი იყო და ამ ექსპერიმენტით მოწმეებისა და მეცნიერების მოტყუება შეძლო.



### ნიკოლა ტესლა და უსადენო ელექტრობა

ნიკოლა ტესლას სახელი ფიზიკასთან შორს მყოფი ადამიანებისთვისაც ცნობილია – ამ უდიდესმა მეცნიერმა მნიშვნელოვნად გაუსწრო დროს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო სამყაროში ძალიან ცნობილი იყო და მრავალრიცხოვანი გამოგონებები ჰქონდა, მან ვერ შეძლო ცხოვრებაში თავისი ყველაზე მასშტაბური პროექტის განხორციელება – დედამიწის უზრუნველყოფა უფასო უსადენო ელექტროენერგიით. იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა აეშენებინათ ძალიან მაღალი ანძა, რომელიც დედამიწის იონოსფეროს და თავად დედამიწას გამოიყენებდა ელექტრონულ გადამცემებად, რაც ელექტრობას ჩვენი პლანეტის ნებისმიერ წერტილში ხელმისაწვდომს გახდიდა. 1905 წელს ტესლამ ექსპერიმენტები დაიწყო, მაგრამ ამერიკის კრიზისის გამო ძვირადღირსებული პროექტის განხორციელება შეჩერდა. ტესლა 1943 წელს გარდაიცვალა და უსადენო ელექტროქსელის საიდუმლო თან წაიღო. საქმე ის გახლავთ, რომ ტესლა ყველაფერს გონებაში ინახავდა, მისი ჩანაწერები კი გაშფვრას არ ექვემდებარება.

### ედვარდ ლიდსკალნინი და უზარმაზარი ქვის ლოდების გადადგილება

ედვარდ ლისკალინი ლატვიელი ემიგრანტია, რომელიც აშშ-ში გადასახლდა. მან ააგო ეგრეთ წოდებული მარჯნის სასახლე ფლორიდაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი მოკრძალებული აგებულებისა და წონის ადამიანი გახლდათ, ეს სულაც არ უშლიდა ხელს მარტოს გადაეტანა ქვის ლოდები, რომლებიც 30 ტონას იწონიდა. ამასთან, იგი ყოველთვის მარტო მუშაობდა. ვერავინ ამბობს, როგორ შეძლო მან ამ სასახლის აშენება. ზოგი ამბობს, რომ ქვები თავისით გადაადგილდებოდა ჰაერშიო, ზოგმა თქვა, რომ რაღაც მოწყობილობის საშუალებით გადააადგილებდა ლოდებს, ზოგმა კი – რაღაც შავი ყუთი ჰქონდა, რომელსაც „მასტაბილიზირებელ მუდმივ ძრავას“ უწოდებდაო. ედვარდის გარდაცვალების შემდეგ, 1951 წლიდან, მარჯნის სასახლე ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა. ლიდსკალნინი ამტკიცებდა, რომ ეგვიპტის პირამიდების საიდუმლო ამოიცნო, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არავისთვის გაუმხელია.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“



**რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.**

**რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.**

**მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.**

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“**
**ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.**





**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001